პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 124 შაბათი 2 ივნისი, 1923 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 50,000 მან.
№ 124

დღიური

დეპუტატთა პალატაში პუანკარემ განაცხადა, რომ გერმანიის მიმართ სანქციები ზომები არ იქნება შემცირებული.

იტალიის დეპუტატთა პალატამ უარი განაცხადა კომინტერნის მანიფესტზე, ხელმომწერ დეპუტატების [illegible] ბლობის გაუქმებაზე.

გადადგა პოლონეთის მარშალი პილსუდსკი.

რურის ოლქში საერთო გაფიცვები კარგად მიმდინარეობს.

ამიერ კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყო

„ბაქოს დახვრეტილ 26 კომისრის ოჯახების დამხმარე კომისია",

სადაც თავი მოეყრება აღნიშნულ ოჯახებისათვის ყოველგვარ დახმარებას. სწორი აღრიცხვისათვის სთხოვენ ყველას აცნობონ კომისიას თავისი მისამართი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალმასკომის მდივანი: ტალიბლი.

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისთვის მოწვეულია

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივად მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამსურათებელი მასალები.

მისაბამი მაგალითი

გაზეთის დღევანდელ №-ში იბეჭდება ბევრი მხრივ საყურადღებო კორესპონდენცია სუფსიდან. პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის კრებას, 5 მაისს, მუშათა პრესის დღეს, ჰქონია სჯა-ბაასი ჩვენი პრესის მნიშვნელობის და გაზეთების გავრცელების შესახებ, კიდეც გამოუტანია განსაზღვრული დადგენილებანი და გადაუდგამს ზოგიერთი რეალური ნაბიჯიც. კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც ევალება საერთოდ კულტურული მუშაობის წარმოება, კერძოდ გაზეთების გავრცელება. კომისია აგროვებს შემოწირულებებს, მას განზრახვა აქვს გამართოს [illegible] მოდიოდეს თითო გაზეთი. კომისია ფართოდ შეუდგა გაზეთებზე ხელისმოწერის საქმის ორგანიზაციას.

აღსანიშნავია აგრეთვე კრების მიერ მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვით თითეულ სოფელს და რაიონს უნდა ყავდეს საკუთარი კორესპონდენტი.

გაზეთის გავრცელება, მისი ფართე მასსასთან უშუალოდ დაახლოვება, ხალხის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაქცევა—დღესაც საჭირ-ბოროტო საკითხს წარმოადგენს.

გაზეთს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მას მეტი ხალხი, მასსა კითხულობს.

ამ მხრივ ჩვენში სრულებითაც არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. გაზეთების გავრცელების საქმე ჯერაც ვერ მოგვიგვარებია რიგიანად.

აქ უეჭველად მრავალი და სერიოზული დაბრკოლებები გვიდობება წინ.

ჩვენი ხალხის კულტურული ჩამორჩენილობა, მისი საგრძნობი ნაწილის მიერ წერა-კითხვის უცოდინარობაც კი არის უმთავრესი მიზეზთაგანი იმის, რომ გაზეთი ფართე გზას ვერ ჰპოულობს მისკენ.

გაღვიძება ხალხის ცოდნის მოყვარეობის, ინტერესის გამოწვევა მასში მიმდინარე ამბებისადმი გაზრდის მოთხოვნილებას გაზეთზე, რომელიც ერთი უმთავრესი საშუალებაა მასსის პოლიტიკური გათვითცნობიერების, შექმნილ მდგომარეობაში გარკვევის.

ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაზეთის მასალასთან გაცნობის. ეს მაშინ მოხდება, როცა გაზეთი მისაწვდომი იქნება წერა-კითხვის უცოდინარ მასსებისათვისაც. უნდა მოეწყოს გაზეთის რეგულიარული საჯარო წაკითხვა და განმარტება წერა კითხვის არა მცოდნეთათვის. ეს დიდად შეუწყობს ხელს ხალხის განვითარებას და გაზეთების გავრცელებასაც.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ გაზეთით ხალხის დაინტერესება შეიძლება არა მარტო მსოფლიო ამბების შესახებ ცნობების და დიდი, თუ გინდ მნიშვნელოვანი წერილების მოთავსებით მასში, არამედ უფრო ადგილობრივი ცხოვრების გაშუქებით. ადგილობრივი ხალხი ხარბად იწაფება იმ გაზეთს, რომელშიც ხშირად შეხვდება წერილებს და კორესპონდენციებს თავის ცხოვრებიდან, ჩვენი გაზეთების ნაკლი ყოველთვის იყო და დღესაც არის მოწყვეტილობა პროვინციებიდან. ჩვენ გაზეთებში ხშირად შეხვდებით ამბებს, ცნობებს, ამერიკის და სხვა შორეულ ქვეყნების შესახებ, ხოლო იშვიათად ადგილობრივი ცხოვრების მიმდინარეობაზე. ასეთი ჩვენი ნაკლი უნდა გამოსწორდეს. ამას ჩვენ შევსძლებთ კორესპონდენტების ქსელის მოწყობით რესპუბლიკის ყველა ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო პუნქტებში. სამწუხაროდ ძალიან ცოტა გვყავს გამოცდილ კორესპონდენტების კადრი. მათი გასამრავლებლად და მოსამზადებლად უნდა იქნას მიღებული საჭირო ზომები.

ერთ-ერთი დიდი დაბრკოლება გაზეთის გავრცელების საქმეში უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ფოსტის და ტრანსპორტის მოუგვარებლობა. გაზეთი გამომწერლებს ზოგჯერ სულ არ მისდით ან მისდით ძალიან დაგვიანებით. ასეთი მდგომარეობის მოსპობა დაკავშირებულია კერძოდ ფოსტის მუშაობის მოწესრიგებასთან.

ყველა ამ დაბრკოლებების მოსპობა, ხალხში გაზეთისადმი ინტერესის გამოწვევა, მისი ფართოდ გავრცელების ორგანიზაცია, მისი თავის დროზე მიღების მოწესრიგება თხოულობს დიდ მუშაობას. ამ საქმეში პირდაპირ უნდა ჩაებან ადგილობრივი პარტორგანიზაციები. ისინი დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ამას. ეს თითქო არ მიაჩნდათ თავიანთ პირდაპირ მოვალეობად. ამითაც აიხსნება გაზეთების გაუვრცელებლობა ჩვენში.

სუფსის ორგანიზაციას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, შეუგნია თავისი მოვალეობა პრესის გავრცელების საქმეში. საჭიროა სხვა ორგანიზაციებმა და ამხანაგებმა გადასდგან ამ მხრივ საჭირო ნაბიჯები.

მუშურ გაზეთმა უნდა შეაღწიოს ყოველ სოფელში, ყოველი გლეხის ქოხში. მისი წაკითხვა უნდა შეიქმნას ყოველი გლეხის აუცილებელ მოთხოვნილებად.

ასეთ მდგომარეობას ჩვენ მივაღწევთ, თუ ჩვენი ადგილობრივი ამხანაგები გამოიჩენენ ამ საქმეში საკმაო ხალისს და ენერგიას.

გლეხთა სასახლე

ამ რამოდენიმე დღის წინეთ საქართველოს ს. ს. რ. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ქალ. თბილისის აღმასკომის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ყოფილი მუხრანსკის სასტუმრო (ახლა გადამწვარი) გადაეცეს ხსენებულ კომისარიატს გლეხთა სასახლის მოსაწყობათ.

ბევრს ალბათ გაუკვირდება პირველი ის, რომ რა დამოკიდებულება, რა კავშირი აქვს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს გლეხებთან ერთი მხრით და მეორე მხრით რა საშუალებით, რა სახსარით შესძლებს ღარიბების კომისარიატი ამ დიდი, უზარმაზარი საქმის მოგვარებას.

სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი მოკლე ამ ხანში უნდა შეუდგეს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების მოწყობას. ასეთი ტიპის ორგანიზაციები ჩვენში უცნობია. რუსეთში გლეხთა საურთიერთო კომიტეტების მოწყობას მოკიდეს ხელი 1921 წელს მაისის თვეში და უკვე მოწვეული იყო მათი სრულიად რუსეთის ყრილობაც, რომელსაც ამხ. ლენინმა, ტროცკიმ და კალინინმა სპეციალური წერილები უძღვნეს.

თვით პატარა სოფლებშიაც კი უნდა იქნას, მოწყობილი დებულების ძალით, ასეთი კომიტეტები, შეკავშირებულნი თემის ფარგალში, შემდეგ მაზრის და ასე სრულიად საქართველოს გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტის ცენტრის შექმნამდე.

არც ერთი ორგანიზაცია არ არის, და არც იქნება ისე დაახლოებული გლეხთა ფართო მასსასთან, როგორც ზემო მოხსენებული კომიტეტი.

ამ კომიტეტებს კი აარსებს, აწყობს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი და ისინი მუშაობენ, მოქმედებენ კომისარიატის ხელმძღვანელობით და კარნახით.

რუსეთში გლეხთა კომიტეტებმა დიდი სამუშაო შეასრულეს, დიდი როლი ითამაშეს იმ ორი წლის განმავლობაში, რაც ისინი არსებობენ. ადგილობრივათ ურთიერთშორის აგროვებენ საშუალებებს სხვა და სხვა სახით და შემდეგ ეხმარებიან ადგილობრივათვე ომის და შრომის ინვალიდებს, ობლებს, ქვრივებს და ყველა იმათ, ვისაც რაიმე უბედურება დაატყდება თავზე. ზოგიერთ ადგილას რუსეთში გლეხთა კომიტეტებმა დაცემული, განადგურებული სოფლის მეურნეობა აღადგინეს, კულტურული მუშაობა გააძლიერეს, სკოლები, სამკითხველოები, კლუბები და სხვა და სხვა საწარმოო არტელები მოაწყვეს.

ზემო ნათქვამიდან აშკარად სჩანს, რომ გლეხთა საურთიერთო კომიტეტები მჭიდროთ არიან სოფლის ხალხთან დაკავშირებული და სოფლის ხალხი კი კომიტეტებთან, ამიტომ ის კომისარიატი, რომელიც ამ კომიტეტებს აწყობს და მას ხელმძღვანელობს ძლიერ დაახლოვებულია და დაკავშირებულია სოფლის მშრომელ ხალხთან. გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების საშვალებით სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს მუდმივი, შეუწყვეტელი, კავშირი ექნება გაბმული სოფლის მშრომელ ხალხთან. აი ამიტომ ვზრუნავთ ჩვენ გლეხთა სასახლეზეც.

ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ იმ კავშირზე, რომელიც აუცილებლად უნდა გაიბას ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის. მაგრამ არ კმარა ცარიელი პრტყელ-პრტყელი სიტყვები, საჭიროა საქმით დავამტკიცოთ ნათქვამი. სოფლის მშრომელი, რომ დაიძრება სოფლიდან ქალაქისკენ, ის დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ აქ ის იპოვნის თავშესაფარს, სადაც მას შეუძლია, როგორც თავის საკუთარ სახლში მივიდეს.

გლეხთა სასახლეში იქნება ღამის გასათევი, როგორც საზოგადო, ისე ცალკე, სამკითხველო, კლუბი-თეატრი, აბანო, საპარიკმახერო, მუზეუმი, წიგნის მაღაზია და რაც უმთავრესია, საინფორმაციო განყოფილება, საიდანაც სოფლიდან ჩამოსული გლეხი მიიღებს ყოველგვარ მისთვის საჭირო ცნობებს. ამ სასახლეში იქნება მოთავსებული სრულიად საქართველოს გლეხთა საურთიერთო საზოგადოებრივ დამხმარე კომიტეტების ცენტრი. ამავე გლეხთა სასახლეში გაიმართება გლეხთა ყრილობები, თათბირები და სხვა. ყველა იმის გათვალისწინება, რაც იქ იქნება მოთავსებული ახლა ძნელია, მხოლოდ ის კი ცხადია, ასეთი გლეხთა სასახლის მოწყობით ჭეშმარიტად ჩაეყრება ურყევი საძირკველი იმ კავშირს, რომელიც აუცილებელი პირობაა მშრომელთა საბოლოო მიზნის მისაღწევათ.

ყველაფერი კარგი, მაგრამ სად აქვს ღარიბების კომისარიატს ასეთი დიდი საქმისთვის თანხა? იკითხავს ზოგიერთი. რა თქმა უნდა, თანხა ჩვენ მზამზარეულათ არ მოგვეპოვება, მარა ენერგია, თავგამოდება, შრომა და ორგანიზატორული უნარი მოგვცემს ყველაფერს—და ყველაფერს დასძლევს.

დეე მუშათა სასახლის პირდაპირ მოეწყოს გლეხთა სასახლეც!

დეე იქ, სადაც წინათ ბრწყინვალე წოდებები,—მუხრანსკები ბუდობდენ, დაიბუდონ მუხრანსკების ყოფილმა ყმებმა,—გლეხებმა!

ქ. ხომერიკი.

უნიჭო კლოუნები

(ორი სიტყვა ქართველ ფუტურისტებზე, მათი „გასტროლების" გამო ქუთაისში).

გაზეთის ფურცლებზე მათ შესახებ [illegible] თუ გინდ ორი სიტყვითაც სრულიად ზედმეტი [illegible], რომ ერთი გარემოება არ [illegible] აქ ადგილი: საქმე იმაშია, რომ ეს ყმაწვილები, რომელთაც უსწავლიათ, თუ გაუგონიათ ცოტა რამ ხელოვნება, პოეზიაზე—თავის „გამოსვლებს" ქართულ ფუტურიზმის შესახებ უკავშირებენ რევოლიუციას ხელოვნებაში, მემარცხენეობას მწერლობაში, უარყოფენ „დახავსებულ" წარსულს და ხპეკულიანტობენ გამოჩენილ რუს კომუნისტ-მწერალ ამხ. მაიკოვსკის სახელით.

ამ გარემოებას კი ჩვენ არ შეგვიძლია არ მივაქციოთ ყურადღება, გაკვრით მაინც რადგან საკითხი ხელოვნებაში რევოლიუციის შესახებ საკმაოდ საინტერესო და უკვე დღის წესრიგში დასმული საკითხია პრაქტიკულადაც.

— საერთოდ ხელოვნება, კერძოთ პოეზია ადამიანის განვითარების და მოთხოვნილების ერთ უმშვენიერეს და ამავე დროს უმაღლეს და უძნელეს მისაღწევ „საგანს" წარმოადგენს, რადგან იგი (ხელოვნება, პოეზია) მოითხოვს ავტორისაგან არა მარტო შრომას, ენერგიას, ცოდნას, სურვილს (რომლებსაც რასაკვირველია აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს) —არამედ—და ეს გადამწყვეტია—**ბუნებრივ დაჯილდოებას, ნიჭს** რომელიც ცხადია—ყველას არ გააჩნია და ურომლისოდ ხელოვანი არ არის. ხელოვანი და პოეტი—პოეტი.

ჩვენ გვინდოდა გვეფიქრა, რომ ქართველ ფუტურისტებში (სახეში გვყავს ისინი, რომლებსაც მონოპოლიათ აუღიათ ეს სახელწოდება ჩვენში) გამოინახებოდენ ერთი ან ორი ისეთები, რომლებიც მართლაც შეასრულებდნენ რამოდენიმეთ მაინც რევოლიუციონერ მწერალ ვლადიმირ მაიაკოვსკის როლს ქართულ ხელოვნებაში, რომელსაც—სხვათა შორის—ასე ეჭირვება მაგარი, მკვეთრი, მჭრელი, დაუზოგავი ხელოვნების ჩაქუჩი მისი მართლაც რომ გამომპალ ქვა-კუთხედის შესანგრევად, რასაც ჩვენის აზრით, შესძლებს მხოლოდ ქართული ხელოვნების მაიაკოვსკი. სხვათა შორის გაკვრით აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ ეგრედ წოდებულ პროლეტარულ მწერლებში ასეთს ჯერ ჩვენ ვერ ვხედავთ.

ქართველი ფუტურისტების გამოსვლამ ქ. ქუთაისში—საბოლაოდ გაფანტა შესაძლებლობაც მათზე რაიმე იმედის დამყარებისა.

ეს იყო მართლაც რომ იშვიათად სანახი „ორიგინალური" თავისი უტიფრობით—დემონსტრაცია სრული უკულტურობისა, საცოდავი უცოდინარობისა და სამაგალითო უნიჭობისა.

— ცირკის კლოუნები—აი მათი დახასიათება, მხოლოდ ერთის გარჩევით. ხშირად ცირკის [illegible] ზოგიერთ „რიჟის" შემთხვევით წამოსროლილ სასაცილო სიტყვებში, ან და თვით მათ თვალებში ისეთ რამეს გაიგებ, ისეთ რამეს ამოიკითხავ—რომელსაც ვერ მოგვცემს, ვერ გვაგრძნობინებს—ზოგი დიდი ხელოვანი დიდი თავის შემოქმედების ნაყოფითაც, რადგან—კლოუნსაც შეუძლია გაგრძნობინოს ხშირად თავისი სამასხარო სიტყვებით გულწრფელი განცდა.

აქ კი—ფუტურისტების საღამოზე არ ყოფილა შემთხვევითი, ნათქვამი არც ერთი წინადადება, არც ერთი სიტყვა, არც ერთი განცდის გადმოცემა—რასაც ედო რაიმე ნიშანი ნიჭისა, ცოდნისა, გულწრფელობისა. იყო მხოლოდ დაბორკილი, დამტვრეული ქართული ენით საცოდავი მანჭიაობა არაფრის მქონე და არაფრის მომცემ—უნიჭო ცირკაჩებისა, რომლებიც ჭრელი ტანთსაცმელით და ცხოველური ღრიალით ლამობდენ ამ თავის უნიჭოების და არარაობის დაფარვას.

რასაკვირველია ყველას ეპატიება იყოს ის, რაც ის არის, თუ გინდ უნიჭო კლოუნიც, მაგრამ როდესაც ასეთები ლამობენ თავისი უნიჭოება და ტაკი მასხარაობა დაფარონ სხვების ნიჭით და დამსახურებით, როდესაც წარმოუდგენელი და უკანასკნელ საფეხურამდე. მისულ ქუჩურ მეშჩანობას (ფუტურისტების „გამოსვლა" იყო ნამდვილი ქუჩური ლაყბობა—ყალბი და უშინაარსო „ორიგინალობას" მოყვარული მეშჩანისა) ისინი ასაღებენ, როგორც მემარცხენობას პოეზიაში და, წარმოიდგინეთ ხელოვნების რევოლიუციონერებათაც მოაქვთ თავი—ჩვენ არ შეგვიძლია არ შევძახოთ მაშინ მათ:

— ცოც ყმაწვილებო! რევოლიუცია (ხელოვნებაშიც სხვათა შორის)—არც ისე იაფად დაგვიჯდა ჩვენ, რომ თქვენისთანაებს მივსცეთ უფლება მისი სალაყბოთ აღებისა. კაცობრიობის უდიდეს ტრაღედიის—რომელსაც რევოლიუცია ეწოდება—მონაწილეთა შორის ადგილი არა აქვთ და არც ექნება მათ, რომელთა სამოქმედო ასპარეზი მხოლოდ ცირკის მოედანია და „შემოქმედების" ნიჭი კი ამ მოედანზე მოთამაშე ტაკი-მასხარების ნიჭს არ გასცილებია.

— ეს არის ჩვენი პირველი და, ვფიქრობთ, უკანასკნელი შეხვედრაც „ქართველ ფუტურისტებთან" გაზეთის ფურცლებზე.

გ. ბახტაძე

კოოპერაციის შესახებ*)

ჩვენში, მე ვფიქრობ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კოოპერაციას, ვიქვობ, რომ ყველა ხედავდეს იმას, რომ ახლა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გარეშე, (პირიქით, ამ მხრივ უნდა ვთქვათ, რომ სწორეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით) კოოპერაციას ჩვენში მიეცა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ძველი კოოპერატორის ოცნებებში ბევრი რამ არის ფანტასტიური. ისინი ხშირათ სასაცილო არიან თავისი ფანტაზიორობით. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს ფანტაზიორობა? იმაში, რომ ამ ხალხს არ ესმით ექსპლოატატორების დასამხობათ მუშათა კლასის ბრძოლის ძირითადი მნიშვნელობა, ჩვენში მოხდა ექსპლოატატორების დამხობა და ბევრი რამ იმიდგან, რაც ფანტასტიური, რომანტიული და უმსგავსო იყო ძველი კოოპერატორების ოცნებაში, აშკარა რეალობათ გადაიქცა.

ჩვენში, ნამდვილად, რადგან სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა კლასის ხელში იმყოფება, რადგან ამ ხელისუფლებას ეკუთვნის წარმოების ყველა საშვალებები, ჩვენს ნამდვილ ამოცანას შეადგენს მცხოვრებთა კოოპერატიულად შეკავშირება. თუ მოხერხდა მცხოვრებთა მაქსიმალური კოოპერაცია, ამით მიზანს მიაღწევს ის სოციალიზმი, რომელიც წინეთ სამართლიან დაცინვას და უყურადღებობას იმსახურებდა იმ ხალხის მხრივ, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოებლად კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობაში, აი, ახლა ყველა ამხანაგები ნათელ ანგარიშს უწევენ ამას, თუ რა დიდი, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის რუსეთის მცხოვრებთა კოოპერატიულ შეკავშირებას, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს ჩვენ [illegible] გლეხებს, როგორც ვაჭარს, დავუთმეთ [illegible] (წინააღმდეგ იმისა, როგორც ფიქრობენ) კოოპერაციის უდიდესი მნიშვნელობა. მართალი რომ ვსთქვათ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს რუსეთის მოსახლეობის ფართე და ღრმა კოოპერატიული შეკავშირება, არის ის, რაც ჩვენ გვესაჭიროება, იმიტომ, რომ ჩვენ ახლა ვნახეთ კერძო ინტერესის, კერძო სავაჭრო ინტერესის შეერთების, სახელმწიფოს მიერ მისი შემოწმების და კანტროლის ის საშვალება, რომელიც წინეთ ძლიერ ბევრი სოციალისტისათვის მთავარ დაბრკოლებას შეადგენდა.

და მართლაც, სახელმწიფოს ხელში წარმოების ყველა მსხვილი საშვალების თავის მოყრა, სახელმწიფო ხელისუფლების პროლეტარიატის ხელში ყოფნა, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონიან წვრილ და ღარიბებს გლეხობასთან, ამ პროლეტარიატის გლეხობაზე ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვა, — განა ეს არ არის ყველაფერი ის, რაც საჭიროა, რომ კოოპერაციით მარტო კოოპერაციით, რომელსაც წინეთ ჩვენ დავცინოდით, როგორც ვაჭრულს, რომლის დაცინვის საბუთი ნაწილობრივ გვაქვს ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებიც, ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება? ეს არ იქნება სოციალისტური წყობილების აგება, მაგრამ ეს იქნება ყველაფერი და საკმაო მის ასაგებათ.

ამ მდგომარეობას სათანადოთ არ აფასებენ ბევრი ჩვენი პრაქტიკული მუშაკები. ჩვენში კოოპერაციას უყურებენ ზერელე და ვერ ხედავენ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ კოოპერაციას ჯერ ერთი პრინციპიალური მხრით (წარმოების საშვალებები სახელმწიფოს ხელშია), მეორე მხრით ახალ წესებზე **გლეხობისათვის უფრო მისაწვდომ, ადვილ და გასაგები გზით გადასვლისათვის.**

ეს კი, მთავარია. ერთი საქმეა ფანტაზიორობა სხვა და სხვა მუშათა გაერთიანების მოწყობის შესახებ სოციალიზმის ასაგებათ, მეორე საქმეა ამ სოციალიზმის აგების პრაქტიკულად შესწავლა ისე, რომ ყველა წვრილ გლეხს შეეძლოს ამ აგებაში მონაწილეობის მიღება. ამ საფეხურს მივაღწიეთ ჩვენ ახლა. ეჭვს გარეშეა ის, რომ ჩვენ ძლიერ ცოტას ვსარგებლობთ მიღებულ შედეგებით.

ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გასვლის დროს გადავლუნეთ ჯოხი არა იმ მხრივ, რომ ბევრი ადგილი დავუთმეთ თავისუფალი ვაჭრობა- [illegible] შესახებ, სათანადოდ არ ვაფასებთ კოოპერაციას, დავიწყეთ დავიწყება იმისა, თუ რა გრანდიოზული მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას ზემოთ მოყვანილ ორი მოსაზრებით.

ახლა მე განზრახვა მაქვს ვესაუბრო მკითხველს იმის შესახებ, რის გაკეთება შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად ამ „კოოპერატიული" პრინციპის მიხედვით. როგორი საშვალებით შეიძლება და უნდა დავიწყოთ ამ „კოოპერატიული" პრინციპის განვითარება ისე, რომ თითოეულისთვის და ყველასათვის აშკარა გახდეს მისი სოციალისტური მნიშვნელობა?

უნდა ჩავაყენოთ კოოპერაცია ისეთ მდგომარეობაში, რომ მას ქონდეს შეღავათი, ეს შეღავათი უნდა იყოს ქონებრივი (საბანკო პროცენტების სიდიდე და სხვა) კოოპერაციას უნდა მიეცეს სახელმწიფოს ისეთი საშვალებები, რომლებიც ცოტათი მაინც სჭარბობენ იმ საშვალებებს, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ კერძო წარმოებას, ან მძიმე ინდუსტრიას და სხვა.

თითოეული საზოგადოებრივი წყობილება წარმოიშობა განსაზღვრული კლასის ფინანსიური დახმარებით. არ ღირს იმის გახსენება თუ რამდენი ასეული მილიონი მანეთი დაჯდა „თავისუფალი" კაპიტალიზმის წარმოშობა. ჩვენ ახლა უნდა შევიგნოთ და საქმეთ უნდა ვაქციოთ ის, რომ ამ ჟამად ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ჩვენ მხარი უნდა დაუჭიროთ ყველაზე მეტად, ეს არის კოოპერატიული წყობილება. მაგრამ მას მხარის დაჭერა ესაჭიროება მისი ნამდვილი მნიშვნელობის მიხედვით, ამ მხარის დაჭერის ქვეშ ჩვენ არ უნდა ვგულისხმობდეთ ყოველგვარი კოოპერატიული მუშაობისათვის მხარის დაჭერას არამედ მხარს უნდა უჭერდეთ მხოლოდ ისეთ მუშაობას, **რომელშიც ნამდვილად იღებენ მონაწილეობას მცხოვრებთა ნამდვილი მასები.** პრემიის მიცემა იმ გლეხებისათვის, რომელიც კოოპერატიულ ბრუნვაში მონაწილეობას იღებს,—მეტად სწორი ფორმულა არის, მაგრამ ამ მონაწილეობის შემოწმება, ამ მონაწილეობის შეგნების და ღირსების შემოწმება, აი რაში მდგომარეობს საკითხის უმთავრესი მნიშვნელობა. როცა კოოპერატორი მიდის სოფელში და აწყობს იქ კოპერატიულ დუქანს, მოსახლეობა ამაში მონაწილეობას არ იღებს, მაგრამ ის იხელმძღვანელებს რა თავისი სარგებლობით, დაიჩქარებს მასში მონაწილეობის მიღებას.

ამ საქმეს აგრეთვე მეორე მხარე აქვს. ჩვენ, ცივილიზაციურ (პირველ ყოვლისა წერა-კითხვის მცოდნე) ევროპიელის თვალსაზრისით ცოტა [illegible] იმისათვის, [illegible] პასიური [illegible] რომ ვთქვათ, ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ერთი რამ: შევქმნათ ჩვენი მოსახლეობა ისეთი „განათლებული", რომ მან შეიგნოს საყოველთაო კოოპერატიული გაერთიანების სარგებლობა და მიიღოს მონაწილეობა მასში. „მხოლოდ" ეს. სხვა არავითარი დიდი სიბრძნე არ არის საჭირო სოციალიზმში გადასასვლელად. მაგრამ, რომ მოვახდინოთ მარტო ეს „მხოლოდ", საჭიროა მთელი გადატრიალება, ხალხის მასების კულტურული განვითარების მთელი პერიოდი. ამიტომ ჩვენი სახელმძღვანელო აზრი უნდა იყოს: რაც შეიძლება ნაკლები „ბრძნული ჩხირკედელობა", ახალი ეკონომიური პოლიტიკა ამ მხრივ წარმოადგენს პროგრესს, იმით, რომ ის ეგუება ყველაზე უბრალო გლეხის დონეს და არ მოითხოვს მისგან არაფერს, რაც მის ძალებს აღემატება. მაგრამ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშვალებით მოვახერხოთ მთელი მოსახლეობის კოოპერატიულად გაერთიანება, ამისათვის საჭიროა მთელი ისტორიული ეპოქა, მაგრამ მაინც ეს იქნება განსაკუთრებული ისტორიული ეპოქა, და ამ ისტორიული ეპოქის გარეშე, საყოველთაო განათლების გარეშე, საყოველთაო შეგნების გარეშე, თუ მოსახლეობა ვერ მივაჩვიეთ წიგნებით სარგებლობას, ამის მატერიალური საფუძვლის გარეშე, ერთგვარი უზრუნველყოფის გარეშე, ვთქვათ, სიმშილისაგან, მოუსავლობისაგან და სხვა,—ამის გარეშე ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ. მთელი საქმე ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ვისწავლოთ ის რევოლიუციონური ფართე საქმიანობა, ის რევოლიუციონური ენტუზიაზმი, რომელიც ჩვენ უკვე გამოვიჩინეთ და გამოვიჩინეთ საკმაოთ და დავაგვირგვინეთ სრული წარმატებით, შევუერთოთ (აქ მე მზად ვარ თითქმის ვთქვა) კარგ და გამოცდილ ვაჭრობის ცოდნას, რაც სრულიად საკმაოა კარგი კოოპერატორისათვის, ვაჭრობის კარგად ცოდნაში მე ვგულისხმობ კულტურული ვაჭრობის ცოდნას, დეე. ამას ნუ დაივიწყებს რუსი ხალხი, ან უბრალო გლეხები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რადგან ვაჭრობენ მაშ ვაჭრობაც იციან. ეს სრულიად არ არის მართალი, ის ვაჭრობს დღეს აზიურად, ვაჭარმა კი უნდა იცოდეს ევროპიულად ვაჭრობა. ამისაგან ის დაშორებულია მთელი ეპოქით.

ვათავებ: ეკონომიური, ფინანსიური და საბანკო შეღავათების მთელი რიგი კოოპერაციას; ამაში უნდა გამოიხატოს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მიერ მცხოვრებთა ორგანიზაციის ახალი პრინციპისათვის მხარის დაჭერა. მაგრამ ეს ამოცანა მხოლოდ დასმულია საერთოდ რადგან აქ კიდევ გაურკვეველია პრაქტიკულად და დეტალურად ამოცანის [illegible] ბების, იმ ფორმის გამონახვა, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ კოოპერატიულად შეკავშირებისათვის, პრემიის ის ფორმა, რომლითაც ჩვენ საკმაო დახმარებას მივცემთ კოოპერაციას, პრემიის ის ფორმა, როცა ჩვენ გვეყოლება ცივილიზაციური კოოპერატორი. ცივილიზაციურ კოოპერატორების წყობილება წარმოების საშვალებებზე საზოგადო მფლობელობის არსებობის დროს, პროლეტარიატის კლასობრივი გამარჯვების დროს ბურჟუაზე, ეს არის სოციალიზმის წყობილება.

ნ. ლენინი.

7 იანვარი, 1923 წ.

---

*) ეს წერილი დაბეჭდილია მოსკოვის „პრავდაში" (26 მაისის ნომერში) ასეთი სარედაქციო შენიშვნით: „ეს წერილი გადმოგვცა ამ დღეებში ამხ. ნადეჟდა ნიკოლაევნა ულიანოვა-კრუპსკაიამ".

საფრანგეთის იმპერიალიზმი

ამ უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის იმპერიალიზმი არაჩვეულებრივ აქტივობას იჩენს მთელი ქვეყნის ყველა კუთხეებში.

რურის ოკუპაცია გრძელდება. იმ არაპირდაპირ და წინასწარ მოლაპარაკებებს, რომელიც ახლა სწარმოებს გერმანიასა და საფრანგეთს შორის, მიზნათ აქვს შეთანხმების მიღწევა, რომელიც საბოლოოთ დაუმორჩილებს გერმანიის მრეწველობას საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიას და საფრანგეთის ბანკს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამავე დროს ყველა ქვეყნის „საქმის ხალხი" აწარმოებს ფარულ მოლაპარაკებას, რომლის დეტალები არ იციან სათანადო მთავრობებმა. მსხვილ მრეწველთა და ბანკების ჯგუფებში თანდათანობით ძლიერდება ტენდენცია, რომელიც მიზნათ ისახავს საკუთარი პოლიტიკური და დიპლომატიური აპარატის შექმნას, სახელმწიფო აპარატის გარეშე, მაგრამ მტკიცე კონტაქტში მასთან! და თუ საოკუპაციო ხელისუფლება რურში აძლიერებს რეპრესიებს (კანტროლის დაწესება საავტომობილო მიმოსვლაზე, რურიდან გასატან საქონელზე საფრანგეთ-ბელგიის საბაჟო კანტროლის დაწესება, გერმანიაში ქვანახშირის გატანის აკრძალვა და სხვას,—ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რურში არ მოხდება საფრანგეთის კაპიტალიზმისათვის სასარგებლო შეთანხმება.

რურიდან კოქსის გატანა, ინგლისიდან და ამერიკიდან კოქსის შემოტანა, დღიდან დღეზე ქმნის საფრანგეთის ლითონის დამმუშავებელ მრეწველობისათვის უფრო და უფრო დიდ რესურსებს.

რომ საფრანგეთის მრეწველობის მაგნატებს არ ქონდეთ გერმანიის მრეწველებთან შეთანხმების განზრახვა, ისინი, რაც არ უნდა დაჯდომოდათ, ააგებდნენ ვეებერთელა საწყობებს სათბობი მასალისათვის, რომ უზრუნველეყოთ რურის ღუმელების მოქმედება.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ამუშავებენ ახალ და ახალ ღუმელებს. იმათთვის, ვინც იცის თუ რა ძნელია ღუმელების ჩაქრობა და ამუშავება, ნათელი შეიქნება, რომ საფრანგეთის მრეწველობის მაგნატები არ აპირებენ ღუმელების მუშაობის შეჩერებას და მაშასადამე დარწმუნებული არიან იმაში, რომ რურის ავანტიურას ჩქარა მოეღება ბოლო. საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ვესტფალიაში მიღებული იძულებითი ზომებს მიზნათ მხოლოდ და მხოლოდ ის ქონდა, რომ გერმანიის მრეწველთათვის ეკარნახებიათ ისეთი პირობები, რომლებიც ყველაზე უფრო უზრუნველყოფდენ საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის ჰეგემონიას ევროპაში.

სტამბოლშიც და ლოზანაშიც საფრანგეთის იმპერიალიზმს მხოლოდ ერთი მიზანი ქონდა. შეენარჩუნებია ომამდი მიღებული კონცესიები და გამოეგლიჯა ოსმალეთისათვის და საფრანგეთის კაპიტალიზმის მეტოქე სახელმწიფოებისათვის თავისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულება. საფრანგეთი, ინგლისი და შეერთებული შტატები მიდიან ურთიერთ დათმობაზე შეთანხმების მისაღწევად იმიტომ, რომ სურთ ძირი გამოუთხარონ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას და დაარღვიონ ის სოლიდარობა, რომელიც დღემდი აერთებს მუსლიმანური ქვეყნების ლიდერებს საბჭოთა რესპუბლიკასთან. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, და მთელი პროლეტარიატისათვის თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ რუსეთის რევოლიუციის კავშირი ოსმალეთის ნაციონალურ მოძრაობასთან ძირიან ფესვიანად არყევს ევროპის იმპერიალიზმის მიერ კოლონიების ექსპლოატაციის საფუძველს და ამავე დროს თავისთავად წარმოადგენს ობიექტიურად რევოლიუციონურ ღირებულებას.

მეტად დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ საფრანგეთის დელეგატად ლოზანის კონფერენციაზე დაიგზავნა სამხედრო პირი—გენერალი პელლე, გენერალურ შტაბთან არსებული შტაბის ყოფ უფროსი. თათბირი რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოხდა პუანკარეს, ვაიგანესა და პელლეს შორის, არანაკლებ მნიშვნელოვანია. ვაიგანი, ფოშის თანამშრომელი ომის დროს, ის გენერალია, რომელმაც მოაწყო პოლონეთის ჯარების კონტრ-ატაკა წითელი არმიის წინააღმდეგ ვარშავასთან. მას უპირებენ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების სარდლად დანიშვნას სირიაში იმ, დროს, როცა საფრანგეთის მთელი ბურჟუაზიული პრესა ავრცელებდა ხმებს, რომ ოსმალეთის მთავრობა ჯარებს უყრის თავს სირიის საზღვარზეო.

თუ რა აზრი ქონდა ვაიგანის დანიშვნას, ამას ნათლად მოწმობს „მატენ"-ის 29 აპრილის ნომერში მოთავსებული წერილი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„გენერალი ვეიგანი მიემგზავრება თავის პოსტზე მეტად რთულ მომენტში. მან არ იცის ჯერ თუ როგორ დასრულდება ლოზანას კონფერენცია, მოყვება თუ არა მას ზავი".

აქედან ნათელია, რომ პუანკარეს მთავრობა არაფერს არ მოერიდება საფრანგეთის კაპიტალიზმის მადის დასაკმაყოფილებლად, თვით ომის დაწყებასაც კი ახლო აღმოსავლეთში.

ოსმალეთის გამარჯვებამ დიდათ აღაფრთოვანა მუსლიმანური ქვეყნები მაროკო, სადაც იმყოფება, მრავალი მუსლიმანი-აგიტატორი, ამოძრავდა. იქ ძლიერდება მტრული განწყობილება ფრანგების ბატონობის წინააღმდეგ.

„ეკო დე-პარი"-მ, რომლის ინტიმიური კავშირი პუანკარესთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არავისათვის არ შეადგენს საიდუმლოებას, მოათავსა ცნობა ტაზის რაიონში ჯარების გაგზავნის შესახებ და ეს ცნობა არავის არ უარყვია. საექსპედიციო კორპუსში შევა: 20 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 16 საარტილერიო ბატარეა, 6 საავიაციო ესკადრილია, სულ 25,000 კაცამდი გენ. პომირიოს მეთაურობით.

ამრიგად ბნელ ბერბერებში თოფხარბაზნების საშვალებით შეიტანებენ ცივილიზაციას. მათ მიწებს და მთელ სიმდიდრეს წაიღებენ ბნელი კომბინაციების მაძიებელნი. ასე წარმოიშობა მაროკანელ და ფრანგ მსხვერპლთა სისხლით განოყიერებულ მიწიდან კაპიტალისტური ექსპლოატაციის შხამიანი მცენარე.

რუსეთის რევოლიუცია საშიშია საფრანგეთის იმპერიალიზმისათვის. და აი ჩვენ ვხედავთ თუ როგორის სისტემატიურობით იჭრება საფრანგეთის კაპიტალი ბალკანეთის ქვეყნებში, რომელთაც ის ყურმოჭრილ ვასალებათ გადაქცევას ემუქრება. რუმინეთმა მიიღო ნებართვა საფრანგეთში 500 მილიონი ფრანკის სესხის აღების შესახებ. ეს სესხი უნდა მოხმარდეს საფრანგეთში დაკვეთილ სამხედრო მასალის ფასის გადახდას. საფრანგეთის მთავრობამ ამ რამდენიმე ხნის წინათ რუმინეთის ნავთის სხვა და სხვა საზოგადოებებს აჩუქა 80 მილიონი ფრანკი, იმ საზოგადოებებში აშკარათ თუ ფარულათ საფრანგეთის კაპიტალია მოთავსებული. თუ რა მიზანს ისახავს ეს პოლიტიკა, ნათელი ხდება მარშალ ფოშის მგზავრობიდან. საფრანგეთის მთავრობასთან ახლო მდგომი პრესა აცხადებს, რომ ფოშის დიდი ავტორიტეტიანობის გამო მის რჩევა-დარიგებას მიიღებენ პოლონეთში და ჩეხო-სლოვაკეთში. შეუძლებელი იყო ამაზე უკეთესად იმის თქმა, რომ ფოში საფრანგეთის იმპერიალიზმის ვასალებს მისცემს დირექტივებს შეუთანხმონ თავისი დიპლომატიური, პოლიტიკური და, რაც ადვილი შესაძლებელია, სამხედრო ნაბიჯები საფრანგეთის პოლიტიკას რუსეთის წინააღმდეგ. ამ ძნელ მახინაციებთან ერთად საფრანგეთის და ინგლისის კაპიტალისტურ პრესაში სწარმოებს გააფთრებული კამპანია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ მთელი ევროპის სოციალ-დემოკრატიული პრესა ბანს აძლევს ბურჟუაზიას. ინგლისს უფლება აქვს ასობით ჩამოახრჩოს ინდუსები, ათასობით ხვრიტოს ირლანდიელები, საფრანგეთს შეუძლია სიმშილით სული ამოაძროს გერმანიას და სისხლში ჩაახრჩოს მუშათა გაფიცვები, ჩვენი სოციალისტები „სამღვთო კავშირიდან" კრინტსაც არ დასძრავენ, მაგრამ საკმაოა რუსეთის რევოლიუციონურმა მთავრობამ თავდაცვის მიზნით ხელი ახლოს კონტრ-რევოლიუციონურ ტიხონს და ისინი ასტეხენ განგაშს. მათთვის უფრო ადვილია ეპისკოპოზის დაცვა ვიდრე მუშების.

ამრიგად საფრანგეთის იმპერიალიზმს თავისუფლად შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს სხვა ქვეყნების იმპერიალიზმს, გადაიჭრეს კოლონიალურ ავანტიურებში და იმზადოს ახალი ომისათვის.

და თუ ინგლისი და ამერიკა სუსტ წინააღმდეგობას უწევენ საფრანგეთის იმპერიალიზმს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი კარგათ ხედავენ, რომ საფრანგეთი ასრულებს მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის მებაირახტრის როლს.

აქედან ნათელია თუ როგორი ტაქტიკა უნდა ვაწარმოოთ ჩვენ. **მიმდინარე მომენტში კომუნისტური ინტერნაციონალის პირველ და უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა შეადგენდეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის შეკავშირება საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.**

საფრანგეთის კომუნისტური პარტია არ შესწყვეტს ბრძოლას. დეე გვედევნონ და გვაწამონ ჩვენ! თუ ჩვენ შევძლებთ ჩვენ ზურგზე გადავიტანოთ ის საფრთხე, რომელსაც საფრანგეთის იმპერიალიზმი უმზადებს გერმანიის მომავალ რევოლიუციას,—მით უკეთესი ჩვენთვის.

პარიზი. ა. ბერტრან.

რადიო-დეპეშები

რუსეთი და სპარსეთი

„დეილი ჰერალდის“ აზრი.

ლონდონი. 31 მაისი „დეილი ჰერალდის“ ცნობით, ბრიტანეთის მთავრობის პასუხი მზად არის და ყოველ მომენტში შეიძლება გადაეცეს კრასინს მემორანდუმის სახით. მთავარი საფრთხე მდგომარეობს პროპაგანდის საკითხში, რადგან ბრიტანეთის მთავრობას შეუძლია გაიმეოროს მოთხოვნილება სპარსეთში საბჭოთა წარმომადგენლების დასჯის შესახებ. არ არის იმის იმედი, რომ კერზონი დასთანხმდება საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე კონფერენციის მოწვევის შესახებ. მთავარ დაბრკოლებას შეადგენს ის გარემოება, რომ კერზონს არ ძალუძს მოეპყრას სოციალისტურ რესპუბლიკას ისე, როგორც ეს შეფერის დიდ სახელმწიფოს.

„დეილი ტელეგრაფი“ პესიმისტურად არის განწყობილი.

ლონდონი. 31 მაისი. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „კერზონი გადაჭრით მოითხოვს სრულ დაკმაყოფილებას. წინადადება ტრალერების შესახებ კონვენციის დადების შესახებ მიუღებელია, რადგან ბრიტანეთის მთავრობამ უარი განაცხადა საბჭოთა მთავრობისაგან იმ უფლებების მიღებაზე, რომელიც ისედაც ეკუთვნის ბრიტანეთის ქვეშევრდომებს საერთაშორისო კანონების მიხედვით. ინგლისის მოთხოვნილება პროპაგანდის შესახებ დაკმაყოფილებული უნდა იქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრიტანეთის მისიის მიერ მოსკოვის დატოვება აუცილებელი შეიქნება“.

რურის ამბები

მუშების გაფიცვა.

ბერლინი. 29 მაისი. დორტმუნდის ხის დამმუშავებლებმა და ელექტრო-ქარხნების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს 24 საათით სამთომადნო წარმოების გაფიცულ მუშათა მხარის დასაჭერად.

დიუსელდორფის ოლქში ელექტრო წარმოების მუშათა გაფიცვა გრძელდება.

გაფიცულია 375,000 კაცი.

ბერლინი. 29 მაისი. გაფიცვა მოედო ესსენის ოლქსაც. საერთო რიცხვი რურის გაფიცულ მუშებისა 375,000 კაცს უდრის.

„ხვალეობით“ [illegible].

ბერლინი. 29 მაისი. რურის სამთომადნო მრეწველთა და პროფკავშირების შორის მოლაპარაკება დაიწყო ხელფასის გადიდების შესახებ 52 პროც. მუშები მოითხოვდნენ, რომ უკვე ნამუშევარი დროის ხელფასის განსხვავებაც მისცემოდათ. მრეწველებმა უარი განაცხადეს, სამაგიეროდ შეჰპირდნენ ავანსის მიცემას ჯამაგირის ანგარიშში. სამთომადნო წარმოების მუშებს მოლაპარაკებაზე გული აუცრუვდათ.

მწარმოებლები უთმობენ.

ბერლინი. 30 მაისი. რურის მუშათა გაფიცვა თავდება, რადგანაც შეთანხმება მოხდა მრეწველებთან ხელფასის შესახებ. ეს შეთანხმება დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს წინანდელ ხელშეკრულებასთან შედარებით.

როგორ იცავს თავს ბურჟუაზია.

ბერლინი. 30 მაისი. ბოხუმში ბურჟუაზიის თავდაცვის რაზმებმა დაიპყრეს და დაანგრიეს ის სახლი, სადაც მოთავსებული იყო კომუნისტური პარტიის ბიურო და გონებრივ და ფიზიკურ შრომის კავშირი. შიგ მყოფი მუშათა წარმომადგენლები აწამეს. ბოხუმში ფრანგებმა მიაშველეს გერმანიის პოლიციას ტყვიის-მფრქვეველები და ყუმბარები.

სესხი ძარცვის განსაგრძობად.

პარიზი. 30 აპრილი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში უკანასკნელ სხდომაზე რურის ოკუპაციისათვის ახალი სესხის საკითხის განხილვის დროს, ცხარე შეკამათება მოუვიდათ პუანკარესა და ტარდეს. ტარდე უსაყვედურებდა პუანკარეს, რომ რურის ოკუპაციის საქმეში საკმარისი ენერგია ვერ გამოიჩინა. სესხის საკითხი აუარებელის უმრავლესობით მიიღო პალატამ. ამის შემდეგ ძლიერი ტაშის დროს კომუნისტმა დეპუტატებმა კაშენმა, კუტიურემ და მოიანემ ააფრიალეს წითელი დროშა, ზედ წარწერით: „ამნისტია“.

რურის ოლქის ოკუპაცია

მრეწველები სტინესის ფეხის ხმას ახდევენ.

ბერლინი. 29 მაისი. გერმანიის მრეწველთა კავშირის მემორანდუმი სარეპარაციო გარანტიების თაობაზე ადასტურებს, რომ სტინესი ცდილობს ხელში ჩაიგდოს გერმანიის სახელმწიფო რკინის გზები. მემორანდუმში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საგარანტიო ნივთების საჭიროთ გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სახელმწიფო წარმოებანიც კერძო წარმოებათა წესზე გადავა. მემორანდუმში ნათქვამია, რომ გარანტიის სიმძიმე სახელმწიფომ მთელს ხალხზე უნდა გადაიტანოს. მრეწველთა წრეები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იკისრებენ ამ მძიმე ტვირთის ზიდვას, თუ მიგნებული იქნება საგარეო და საშინაო პოლიტიკის გადამწყვეტი ნამდვილი გზა.

გერმანიის მთავრობა კმაყოფილია მემორანდუმით.

ბერლინი. 29 მაისი. გამოქვეყნებულია მთავრობის ცნობა, რომელიც სიამოვნებით იღებს მემორანდუმს როგორც გერმანიის მრეწველთა პირველ ნაბიჯს. რომელმაც შეიძლება დიდი ნაყოფი გამოიღოს. მაგრამ მთავრობა თვითონ იტოვებს უფლებას სარეპარაციო გარანტიისათვის საჭირო თანხის გაწერვისას მოსახლეობის სხვა და სხვა კლასებზე. მთავრობის ცნობას არავინ არ აძლევს რაიმე მნიშვნელობას.

გერმანული გაზეთები მრეწველთა მემორანდუმის შესახებ.

ბერლინი. 29 მაისი. სტინესის გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი მიესალმება მემორანდუმს და აღნიშნავს: „მთავრობის წინაშე ეხლა არჩევანი სდგას: მოისურვებს თუ არა იგი სოციალიზმის გზით სვლას, თუ კაპიტალიზმისაკენ გადიხრება“. „როტე-ფანე“ აცხადებს, რომ მემორანდუმის მიღება ყოვლად შეუწყნარებელია. საჭიროა შევუდგეთ ღირებულებათა ხელში ჩაგდებას; ამას კი მხოლოდ მუშათა მთავრობა შესძლებსო.

რა უნდა საფრანგეთს.

ბერლინი. 1 ივნისი პარიზის „პატრის“ აზრით, გერმანიისათვის მის მიერ ნათხოვნი შეღავათების მინიჭება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ რურის ოლქის წარმოების შემოსავალი სარეპარაციო სალაროში შევა და თუ გერმანია მოსპობს პასიურ წინააღმდეგობის პოლიტიკას. „ფოსიშე ცეიტუნგის“ აზრით „პატრი“ გამოხატავს საფრანგეთის მთავრობის აზრს.

მილერანის გამგზავრება რურში.

რომი. 1 ივნისი. საფრანგეთის პრეზიდენტმა მილერანმა ინახულა ქალაქი მიუნსტენი რურის ოლქში.

რეპრესიები არ იქნება შეჩერებული.

რომი. 1 ივნისი. პუანკარეს განცხადების მიხედვით, საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, ხმები, საფრანგეთ-ბელგიის რეპრესიულ ზომების შენელების შესახებ რურის ოლქში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია

საფრანგეთ-ბელგიის ყაჩაღობა.

ბერლინი. 1 ივნისი. გერმანიის სახელმწიფო ბანკი იტყობინება, რომ თებერვლის განმავლობაში საფრანგეთ-ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლებამ რურში ხელში ჩაიგდო 120.386 ოქროს მარკა.

კრუპის საქმე

პარიზი. 1 ივნისი. პარიზის საკასაციო სასამართლომ გაარჩია კრუპისა და მისი წარმოების დირექტორების საკასაციო საჩივარი.

გერმანია და ანტანტა

გერმანიის ელჩის მუსოლინთან ბაასი.

რომი. 1 ივნისი. გერმანიის ელჩს რომში ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა მუსოლინთან, რომელსაც ელჩმა განუცხადა, რომ გერმანიის ახალ ნოტაში უფრო მეტი კონკრეტიული წინადადებები იქნება, ვიდრე წინანდელ ნოტაში იყო, კერძოდ და განსაკუთრებით კი გერმანიის გადასახადების გარანტიების შესახებ. მუსოლინმა განაცხადა, რომ გერმანიის წინადადებებს თან მოყვება, ალბად, მოკავშირეთა კონფერენცია მათი განსახილველად და მან აღუთქვა, რომ ის ისევ ძველებურ თვალსაზრისზე იქნება.

ლონდონი ურჩევს.

ბერლინი. 1 ივნისი. „ტანის“ განცხადების საწინააღმდეგოთ ლონდონის წრეები ურჩევენ გერმანიას განაახლოს თავისი წინადადებები ექსპერტთა საერთაშორისო კომისიის წინაშე გერმანიის გადახდის უნარიანობის შესახებ. ინგლისის გაზეთების უმრავლესობის აზრით საკონტრიბუციო თანხა გამომუშავებულ უნდა იქნეს გერმანიის გადახდის უნარიანობისა, და არა მოკავშირეების სურვილის მიხედვით.

ოკუპაციის გამოხმაურება.

ბერლინი. 1 ივნისი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, რურის ოლქის ოკუპაციასთან დაკავშირებით, ნახშირის ფასმა ინგლისში 27 ნახ. შილინგიდან 49 ნახ. შილინგამდი აიწია ტონზე. ნახშირის მრავალი მოვაჭრენი არავითარ სავაჭრო ხელშეკრულებებს არ აკეთებენ ნახშირზე ფასების სიდიდის გამო. ამასთან დაკავშირებით ინგლისის გაზეთები მოითხოვენ მთავრობისაგან დაუყოვნებლივი ზომების მიღებას რურის საკითხის გადასაჭრელად.

მრეწველები არიან გერმანიის ნამდვილი ბატონები.

პარიზი. 30 მაისი გერმანიის მრეწველთა მემორანდუმს პარიზის გაზეთები თანაგრძნობით არ ეკიდებიან. „ერ ნუველი“ ხაზს გასმით აღნიშნავს: მემორანდუმი ჰკოწრობს, რომ გერმანიის ნამდვილი ბატონები ყოფილან მსხვილი მრეწველნი. ამისათვის საჭიროა მათგან ვქონიოთ კავშირი საფრანგეთ-გერმანიის დასაახლოვებლადაო.

პუანკარე-ებერტი მოქმედებენ.

ბერლინი. 1 ივნისი. საფრანგეთის საოკუპაციო ძალები, როგორც სჩანს, დათანხმდნენ გერმანიის მთავრობის მოთხოვნილებაზე იმის შესახებ, რომ გაშვებულ იქნეს აჯანყების რაიონში გერმანიის დამცველი პოლიცია. რამოდენიმე ადგილებში დამცველი პოლიციის მისვლა შესამჩნევი გახდა, რადგან ის დაუყოვნებლივ შეუდგა აჯანყების ჩაქრობას.

ახალი მუხრუჭი.

ბერლინი. 1 ივნისი. საფრანგეთის საოკუპაციო ძალებმა მთელი რიგი ახალი იძულებითი ზომები შემოიღეს რურის მცხოვრებთა მიმართ, რომ აიძულონ მცხოვრებლები პასიურ წინააღმდეგობაზე უარი სთქვან.

პუანკარე ხტუის.

ბერლინი. 1 ივნისი. საფრანგეთის ერთ-ერთმა მსხვილმა მრეწველმა „ევრ“-ის თანამშრომელს განუცხადა, რომ პუანკარეს დასკვნები რურის ოკუპაციის შედეგების შესახებ აბსოლიუტურად შემცდარია. პრემიერის განცხადებას საფრანგეთის ხალხის დამშვიდების მიზანი აქვს მხოლოდ. ნამდვილად კი, რურის ოკუპაციის გამო, საფრანგეთის მრეწველობას თავის მოთხოვნილების 2 მესამედი ნაწილის რაოდენობის კოქსის შემოტანა უხდება საზღვარგარეთიდან.

არა უადრეს მომავალი კვირისა.

ლონდონი. 1 ივნისი. ინგლისის გაზეთების ბერლინის კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ გერმანიის ახალი წინადადებები, მრეწველებისა და აგრარიების მემორანდუმთან დაკავშირებით, თითქმის უკვე მზადაა. ფიქრობენ, რომ ნოტა გერმანიის ახალი წინადადებებით გაეგზავნება მოკავშირეებს არა უადრეს მომავალი კვირისა.

მეისრეა დამნაშავე.

ბერლინი 1 ივნისი. საფრანგეთის სამხედრო სასამართლოს მიერ მეისრე გოლლს მიესაჯა 12 წლის ციხეში დამწყვდევა იმის გამო, რომ მან, თითქოს, არ მიიღო წინასწარი ზომები მატარებლის კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. გამოძიებამ კი დაამტკიცა, რომ გოლლს არ შეეძლო მატარებლის გადასარჩენად წინასწარი ზომების მიღება. ამ რიგად რკინის გზათა საოკუპანტო მმართველობის დანაშაული თავს მოახვიეს საწყალ გოლლს.

ლოზანის კონფერენცია

საიდუმლო თათბირი

პარიზი 30 მაისი. ლოზანიდან მიღებულ ცნობის მიხედვით, ბალკანეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის გრძელდება საიდუმლო თათბირი. ფიქრობენ, რომ ზავზე ხელის მოწერის შემდეგ საბერძნეთი მოითხოვს მიღებულ იქნეს ის მცირე ანტანტის შემადგენლობაში.

ახლო აღმოსავლეთში

შეთანხმება ოსმალეთთან უცხოელთა უფლებების შესახებ

ბერლინი. 1 ივნისი. მოკავშირეთა და ოსმალეთის დელეგაციის შორის ლოზანაში მოხდა შეთანხმება ოსმალეთში მყოფ უცხოელთა უფლებრივობის საკითხში. დადგენილია, რომ სტამბოლსა და სმირნაში შეიქნან შერეული კომისიები ოსმალეთის და ნეიტრალ სახელმწიფოთა იურისტებისაგან. ეს კომისია იმუშავებს ოსმალეთში მცხოვრებთა უფლებრივ მდგომარეობის საკითხზე.

საეჭვო გამარჯვება

ბერლინი. 31 მაისი. ლოზანაში მიღწეულ შეთანხმების მიუხედავად, ლონდონის პოლიტიკურ წრეებში საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ლოზანაში ხელმოწერილი ხელშეკრულება დაამტკიცოს ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა საბჭომ.

ოსმალეთი დემობილიზაციას აპირებს

ბერლინი. 1 ივნისი. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ ლოზანაში შექმნილ მდგომარეობის გამო, ახლო აღმოსავლეთის კრიზისი დასრულებულად ჩაითვლება და ოსმალეთი უკვე შეუდგა თავის ჯარის დემობილიზაციის წინასწარ სამზადისს.

კომპენსაცია ჩესტერის კონცესიისათვის.

ბერლინი 30 მაისი. ბერლინის გაზეთების ცნობით, ანგორის მთავრობამ გადასწყვიტა მისცეს საფრანგეთის მრეწველების ჯგუფს დიდი კონცესია—დარდანელის ნავთსადგურთან რკინის გზის გასაყვანად. ეს კონცესია წარმოადგენს კომპენსაციას ჩესტერის კონცესიის გამო.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

გერმანული მარკა თანდათან ეცემა

ბერლინი. 30 მაისი. მარკის დაცემის მიზეზთა გამომკვლევმა საპარლამენტო კომისიაში, რეიხსბანკის თავმჯდომარემ განაცხადა: მთავრობის მიერ მიღებული ზომები მარკის სტაბილიზაციისათვის სამხედრო ხასიათის ზომებია და რადგანაც ეს ზომები გრძელდება, მარკის კურსის აწევაზე ფიქრიც ზედმეტი არისო.

ინგლისი.

მაღაროს მუშების გაფიცვა.

ლონდონი. 31 მაისი. გუშინ პრემიერმა მიიღო მუშათა პარტიის დეპუტატები პარლამენტში. დეპუტაციამ სთხოვა მინისტრს დაესვა პარლამენტში საკითხი მაღაროს მუშების შრომის ხელფასის მინიმუმის შესახებ. პრემიერმა განუცხადა დეპუტაციას, რომ ეს შესაძლებელია მაშინ, თუ მუშათა პარტიის დეპუტატები პარლამენტში დასთმობენ ერთ დღეს, რომელიც მათ დანიშნული აქვთ მთავრობის ფინანსიურ ღონისძიებათა კრიტიკისათვის. „ტაიმსის“ ცნობით, პარლამენტის ზოგიერთი წევრები გაემგზავრენ ბლეკპულში, რათა დაითანხმონ მაღაროს მუშების ნაციონალური კონფერენცია გადადვან ნაციონალური შეთანხმების შეწყვეტის საკითხის გარჩევა.

იტალია

დეპუტატების პროცესის გამო.

რომი. 30 მაისი. პარლამენტის იურიდიულმა კომისიამ უარჰყო სასამართლო ხელისუფლების მოთხოვნილება დეპუტატების: ბამბაჩის, გრაციადეის, მაფეის და მარაბინის, რომიტის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ. აღნიშნულ დეპუტატებს ბრალს სდებენ სახელმწიფოს საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რადგანაც სერრატისთან ერთად მათ ხელი მოაწერეს კომინტერნის მანიფესტზე.

წითელ [illegible]

რუსეთში.

პირნახული.

დონის როსტოვი. 30 მაისი. უკანასკნელი წვიმების შემდეგ პირნახულის მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს პირნახულის მავნებელ მწერებისაგან განთავისუფლებულა 2,615,000 დესეტინა. დანარჩენ ადგილებში გაჩაღებულია ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

მუშა-გამომგონი.

მოსკოვი. 31 მაისი. გზათა კომისარიატის გამომგონებათა ბიუროს ხელში, მისი არსებობის 2 ნახევარი წლის განმავლობაში, გაუვლია 340 წინადადებას ახალ აღმოჩენათა შესახებ, მათ შორის 20 პროც. დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის საქმისათვის. ეს გამოგონებანი უმეტეს ნაწილად მუშებს ეკუთვნით.

ელეცი. 31 მაისი. სამმა რკინისგზელმა მუშამ გამოიგონა განსაკუთრებული ძაბრი, რომლის საშუალებითაც ექვსჯერ უფრო იაფათ ჯდება სპილენძის დნობა, ვიდრე ნავთით, რომლის რაოდენობაც სამჯერ ნაკლები უნდება.

მოსკოვი. 31 მაისი. საზღვარ-გარეთიდან მიღებულ ალმასის დაზგის წყალობით, რომლის შემწეობითაც მიაგნებენ ხოლმე მიწის წიაღში დაფარულ ანდამატის ანომალს, კურსკის ოლქში ეს საქმე სისწრაფით მიდის წინ. ჩაბურღულია 25 საჟენი, რომელთაგან 21 საჟენის სიღრმეზე უკვე აღმოჩენილია მრავალ-გვარი ლითონის მადანი.

მდ. კამას ადიდება.

ეკატერინებურგი. 30 მაისი. მდ. კამას ადიდება საბედისწერო გახდა. პერმის საბჭოს ბევრი ქარხნები წალეკა.

ივანოვ-ვოზნესენსკი. 30 მაისი. საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი მეპაიეთ განდა მოხალისე საჰაერო ფლოტისა: ამ საქმეში მან ჩასდო 25,000 მანეთი ოქროთი.

საჰაერო მიმოსვლა

დონის-როსტოვი. 30 მაისი. 1 ივნისიდან დაიწყება საჰაერო მიმოსვლა მგზავრებისათვის როსტოვ—ხარკოვ—მოსკოვის, როსტოვ—ნოვოროსიისკი—ბაქო—ტფილისს შორის. მიმოსვლაში იქნება 15 საფრენი „იუნკერსის“ სისტემის.

პურის სესხი

ვოლოგდა 30 მაისი. მიღებულია 100.000 ფუთი პურის სესხის ობლიგაცია. მოთხოვნილება სესხისა მიყრუებულ სოფლებიდან მოდის. პურის სესხის კომისია თხოულობს კიდევ გაუგზავნოთ დამატებით 4000 ფუთის ობლიგაციები.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კონფერენცია.

კიევი. 30 მაისი. გაიხსნა კომუნისტურ ახალგაზრდობის საგუბერნიო კონფერენცია. ყრილობას მიესალმა მრავალრიცხოვანი უპარტიოთა დელეგაციები.

შრომის პირობები უმჯობესდება.

მოსკოვი. 31 მაისი. პლექის საწინააღმდეგო სრულიად რუსეთის ყრილობაზე აღნიშნული იყო ქარხნებზე შრომის გიგიენური პირობების შესამჩნევი გაუმჯობესება. ყველაზე უფრო მავნებელ ფარფორის წარმოებაში შრომის პირობები იმდენად იქნა გაუმჯობესებული, რომ ეს წარმოება ჯანმრთელობისათვის უვნებლად შეიძლება ჩაითვალოს. განზრახულია მთელი რიგი ღონისძიებათა მიღება შრომის გიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად საფეიქრო, შუშის წარმოების და ტყვიის სალებავების წარმოების ქარხნებში.

სახელმწიფო სავაჭრო ფლოტი საზღვარ-გარეთ.

მოსკოვი. 31 მაისი. სახელმწიფო სავაჭრო ფლოტის სამმართველო აწყობს საზღვარ-გარეთ თავის საგენტოს სხვა და სხვა ზღვის პირზე მდებარე ქალაქებში განყოფილებების გახსნით; საგენტოს მიზანია საზღვარგარეთ მიმავალ გემებისათვის სამსახურის გაწევა.

რევოლიუციონური სამართლიანობა.

მოსკოვი. 31 მაისი. უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, არმიაში და ფლოტში რევოლიუციონური სამართლიანობის განსამტკიცებლად, წინადადება მისცა პროკურორებს მჭიდრო კავშირი იქონიონ სამხედრო ნაწილებთან და ყურადღება მიაქციონ ყაზარმებში ცხოვრების პირობებს, საჭმლის ღირსებას, ნაწილების მომარაგებას და სანიტარულ მდგომარეობას.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მონოპოლიების დარღვევისათვის.

მოსკოვი. 31 მაისი. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა სასამართლოებს გააძლიერონ რეპრესიები იმ საქმეებზე, რომელნიც სახელმწიფო ინტერესების დარღვევას ეხებიან მონოპოლიისა და საგარეო ვაჭრობის სფეროში. დამნაშავენი, იმ სასჯელის გარდა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით არის გათვალისწინებული, უნდა დაისაჯოს აგრეთვე ქონების კონფისკაციით.

კონცესიები.

მოსკოვი. 31 მაისი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა, რომ კონცესიონერების მიერ კონცესიის ობიექტის ყოველგვარი გადაცემა მესამე პირისათვის უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რომელიც კონცესიების პირველად გაცემისთვისაა საჭირო. კონცესიების თვითნებობით გადაცემა არ იქნება ცნობილი კანონიერად და ამას შეიძლება კონცესიის პირობის ვადაზე ადრე დარღვევა მოჰყვეს.

მსუბუქ ავტომობილების შემოტანის აკრძალვა.

მოსკოვი. 31 მაისი. სახალხო კომისართა საბჭომ ერთი წლის ვადით აუკრძალა ყველა სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს და კერძო პირებს საზღვარგარეთიდან მსუბუქ ავტომობილების შემოტანა. ამასთან დაკავშირებით გაუქმებულია საზღვარ-გარეთ დადებული ყველა ხელშეკრულებები და ერთი წლის ვადით ჩერდება შეკვეთების შესრულება.

გაღვიძებული მადა

„იზვესტიას“ წერილი.

მოსკოვი. 1 ივნისი. ამხ. სტეკლოვი „იზვესტიაში“ წერილში „გაღვიძებული მადა“ ინგლისის უკანასკნელი ნოტის შესახებ სწერს: „როგორც არ უნდა ეცადოს ლორდი კერზონი დაფაროს თავისი ულტიმატიური მოთხოვნილებები თავაზიანობის ნიღაბის ქვეშ, ყველასათვის აშკარაა, რომ ის ეძებს საბუთს, რომ ყელში სწვდეს საბჭოთა რუსეთს. ეს სჩანს პროპაგანდის შესახებ დეკლარაციის ტექსტიდან. ის ჩვენ გვიყენებს იმდენ მოთხოვნილებებს და ისეთ ბუნდოვან ფორმებში, რომ მას ან მის მემკვიდრეს ყოველ მომენტში შეუძლია ათასი საბაბი მონახოს ახალი კონფლიქტისათვის ან ულტიმატუმისათვის. ბრიტანეთის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სხვა სახელმწიფოებში და ქვეყნის სხვა ნაწილებში ბრიტანეთის მთავრობა იტოვებს უფლებას აწარმოოს პროპაგანდა ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ და წააქეზოს სხვა და სხვა ერები ჩვენს მიმართ მტრული მოქმედების დასაწყებათ. ყველა ამ მოთხოვნილებების არ მიღებისათვის სავაჭრო კავშირის გაწყვეტით გვემუქრებიან. ეს წინანდელი ულტიმატუმის უბრალო განმეორება კი არ არის, არამედ მისი უარესი გამოცემაა.

ნოტის დასასრულ კერზონი ვერ იკავებს თავს აშკარა მუქარისაგან, რომელსაც ის შემდეგს მრავალმნიშვნელოვანი სიტყვებით ამთავრებს: „თუ ეს შესაძლებლობა არ იქნება გამოყენებული, მაშინ ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი აზრისათვის ადვილი იქნება გამორკვევა, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ამის გამო“. დიახ, ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი გამოარკვევს ამას. ეს დიდი ხანია გამორკვეული აქვთ მათ და გამოარკვია იმნაირად, რომ ვეჭვობთ ნასიამოვნები დარჩეს ლორდი კერზონი.

რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა დიდი ხანია გამოარკვია თუ რამდენ დათმობებზე წავიდა საბჭოთა მთავრობა, ამ საზოგადოებრივი აზრის ნაწილი ფიქრობს, რომ ის ზედმეტ დათმობებზე წავიდა. ვფიქრობთ, რომ ამაში ახლა დარწმუნებულია ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრიც. თუ ლორდი კერზონი თავისი ულტიმატუმებით შესძლებს კავშირის გაწყვეტას, ვფიქრობთ, რომ ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი სასტიკ განაჩენს გამოუტანს მას ამ დამღუპველი პოლიტიკისათვის.

დღეს კერზონი მოითხოვს ელჩების გაწვევას, ხვალ სახალხო კომისრებისას და სხვა. არავითარი კონფერენციები, არავითარი მოლაპარაკება, ასეთია მემორანდუმის აზრი. აქვს საზღვარი ყოველგვარ დათმობას, აქვს საზღვარი ყოველგვარ თავხედობას, საზღვარი აქვს ყოველგვარ მოთმინებას, იცოდეთ ეს ბატონო ლორდებო“.

√ კვირას, 3 ივნისს, ტფილისის ქუჩებში გა[illegible]

ნიანგი

წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეებმა სახლიდან გამოსვლის დროს თან უნდა იქონიონ ქუჩებში თავისუფლად მიმოსვლის მანდატი, [illegible]ლება ყველა მეგაზეთეებთან ორას ორმოცდა ათი ათას მანეთად.

წერა-კითხვის არ მცოდნეთათვის სანამდის უცოდინარობის ლიკვიდაცია არ მომხდარა, მანდატი არ არის საჭირო.

(0—1) „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ

„ამიერ-კავკასიის მუშა-ქალის“

№ 4 (მაისი-ივნისი).

ჟურნალი გამოდის ოთხ ენაზე: რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

ჟურნალის მიზანია დაეხმაროს ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალს იმ საკითხებში გარკვევის დროს, რომლებიც აინტერესებს მას როგორც საბჭოთა რესპუბლიკის აქტიურ მოქალაქეს, რომელიც მოწოდებულია მიიღოს მონაწილეობა ახალი ცხოვრების მოწყობაში. ჟურნალი მიზნათ ისახავს აგრეთვე დაეხმაროს მუშა-ქალებს როგორც დედებს და მომავალი თაობის აღმზრდელს. ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მუშა-ქალების ყოფა-ცხოვრებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ: ამხ-ბი: ორჯონიკიძე, კასიანი, თოდრია, ნაჯაფოვი, რასულ-ზადე, გაუსმანი, როზენფელდი, ბელოიანი, მარიამ ორახელაშვილი, ზავარიანი, დალნაია და სხვები.

მეოთხე ნომერზე ხელის მოწერა 15 ივნისამდე ღირს 400.000 მანეთი, 15 ივნისის შემდეგ ფასი გადიდებული იქნება.

ხელის მოწერა მუშა და გლეხ ქალებისათვის ქალთა განყოფილებების საშუალებით ღირება 25 პროც. ნაკლები.

შეიძლება შეძენა ჟურნალ „ამიერ-კავკასიის მშრომელი ქალი“ ს მესამე ნომრის ფასი—350,000 მანეთი.

მიიღება განცხადებები.

რედაქციის მისამართი: რტიშჩევის № 4. რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალებს შორის მუშაობის განყოფილება.

ყვეს ასეთი პოლიტიკური დემონსტრაციის გეგმა.

ინგლისის „ეკონომისტი“ კერზონის ნოტის შესახებ. ინგლისის მეტად გავლენიან ყოველ-კვირეული ჟურნალის „ეკონომისტის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„ინგლისის ნოტა თვით არ არის ზომიერების ნიმუში, მისი კილო მკაცრია, ზოგიერთ ადგილებში ის წინააღმდეგობას შეიცავს. რუსეთის პროპაგანდა ყურადღების ღირსია, მაგრამ საიდუმლო წყაროებიდან მიღებული საბუთების გამოქვეყნება ხშირად სახიფათოა; ბოლოს და ბოლოს, ნოტაში მოყვანილი პროპაგანდის ფაქტები უმნიშვნელოა. ეს დავის ძველი საგანია, ის ირჩეოდა მიწერ-მოწერის საშუალებით, კონფერენციებზე გენუაში და სხვაგან და ახლა ამ ფაქტის გამო კავშირის გაწყვეტა დაუშვებელია. ბრიტანეთის მეზღვაურებისადმი მოპყრობა და ტრალერების დაკავება პროტესტის ღირსია, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ თორმეტ მილიანი ზონის დაწესება არ არის ახალი. ჯერ კიდევ მეფის მთავრობამ, მიუხედავათ დიდი სახელმწიფოების პროტესტისა, აკრძალა თეთრ-ზღვაში 12 მილიან ზონის ფარგლებში თევზის დაჭერა. კერზონი არ არის მართალი, როცა ამტკიცებს, რომ სამ მილიანი ზონა მიღებულია საერთაშორისო საზღვაო უფლებით. მართალია, რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი სერიოზულია, მაგრამ ჩვენ ეჭვი გვეპარება იმაში თუ რამდენათ მიზან-შეწონილია ასეთი პროვოკაციული, არა დიპლომატიური ნოტა, რომელიც შეუძლებლად ხდის საბჭოთა მთავრობისათვის ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. როგორც სჩანს, ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა გასწყვიტოს სავაჭრო კავშირი, მიუხედავათ იმისა, რომ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში რუსეთი საკმაოთ მომაგრდა ეკონომიურად. ჩვენ მეტად გვწყინს, რომ კერზონმა გაიმეორა ძველი შეცდომა და ეკონომიური კავშირის გაწყვეტით სურს შეაშინოს რუსეთი და აიძულოს ის დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნილებები. ინგლისის მაგალითს შესაძლოა წაბაძონ სკანდინავიის ქვეყნებმა, მაგრამ საეჭვოა, რომ გერმანიამ შესცვალოს თავისი დამოკიდებულება რუსეთისადმი.

პირიქით, ყველა ფაქტები იმას ლაღადებენ, რომ ამ კონფლიქტის შემდეგ გერმანია და რუსეთი უფრო დაუახლოვდება ერთმანეთს“.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვები ინგლისში

ინგლისს კვლავ მოედო გაფიცვების და ლოკაუტების ტალღა. ამას მოწმობს კონფლიქტები მწარმოებლებსა და საალმშენებლო, რკინის გზის, მაღაროს, ელექტრონის სადგურების და მიწის მუშებს შორის. თუ ზოგიერთ ადგილებში კონფლიქტები შეთანხმებით თავდება, ამ შეთანხმებას არა აქვს მტკიცე ხასიათი და გაფიცვა კვლავ იწყება, ასე იყო მაგალითად სოფლის მუშების გაფიცვის დროს. ასეთივე არასაიმედო ხასიათის არის შეთანხმება საალმშენებლო მუშებსა და მწარმოებლებს შორის.

ყველა ამ კონფლიქტების მიზეზია კაპიტალის შეტევა, რომელიც მიზნათ ისახავს სამუშაო დღის გადიდებას და შრომის ხელფასის შემცირებას.

მუშების რეალური შრომის ხელფასი, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, ნაკლებია ომამდი არსებულ ხელფასთან შედარებით, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სააქციონერო საზოგადოებათ მოგება არ შემცირებულა, პირიქით გაიზარდა კიდეც. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია რკინის გზის საზოგადოებათა მაგალითი: შრომის ხელფასის დაკლებით ხარჯების შემცირებასთან ერთად პარალელურად იზრდება ძირითადი კაპიტალი (23 მილიონიდან 1913 წელს), 130 მილ. გირვანქა სტერლ. 1923 წ. აქციების ფასი და დივიდენდი. ასევეა ნახშირის მრეწველობაში: მიუხედავათ იმისა, რომ ნახშირის მრეწველობა მეტად კარგ პირობებშია, მაღაროს მუშის ხელფასი არ ფარავს აუცილებელ ხარჯებსაც კი.

დღევანდელი მუშათა მოძრაობის მეტად დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ბრძოლა იმ მუშების დაგირავების წინააღმდეგ, რომლებიც პროფკავშირს არ ეკუთვნიან (რკინისგზელები მოითხოვენ ასეთი მუხლის შეტანას ხელშეკრულებაში, ამის გამო მოხდა გაფიცვა რონდას ველის მაღაროებში) ამავე დროს ძლიერდება მოძრაობა ინდუსტრიალური პაციფიზმის წინააღმდეგ. მაღაროს მუშებს შორის ეს გამოიხატა უარის თქმაში ახლანდელ ხელშეკრულებაზე, უმთავრესად იმიტომ, რომ ის აშენებულია მუშების მონაწილეობაზე მოგებაში.

ამ ჟამად დიდ ყურადღებას იპყრობს სოფლის მეურნეობის მუშების გაფიცვა. ეს გაფიცვა მოედო ნორფოლკის საგრაფოს და გამოწვეულია ფერმერების ცდით შეემცირებიათ შრომის ხელფასი.

ეს გაფიცვა ნათელყოფს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება სოფლის მეურნეობა ინგლისში: ის მეტად ჩამორჩენილია და დამყარებულია დამუშავების ძველ წესებზე.

თვით ფერმერები აღიარებენ, რომ შრომის ახლანდელი ხელფასი მცირეა. ომმა დიდი ცვლილებები გამოიწვია ინგლისის სოფლის მეურნეობაში. შრომის ხელფასი გაიზარდა, მუშა შეიქნა პროფკავშირის წევრი. მაგრამ ომის შემდეგ, საზღვარ-გარეთიდან იაფი პურის შემოტანის გამო ინგლისის მეურნეობა სულ უკან უკან მიდის. მაგრამ სოფლის პროლეტარიატი ახლა ორგანიზაციულად შეკავშირებულია და აქტივობას იჩენს.

მუშები მოითხოვენ შრომის ხელფასის საკითხის მოგვარებას სპეციალური ბიუროების საშუალებით. კონსერვატორები და ლიბერალები ამ კონფლიქტმა საგონებელში ჩააგდო. ერთის მხრით ისინი აღიარებენ „ეკონომიური ძალების თავისუფალი კონკურენციის პრინციპს“ და უარი თქვეს შრომის ხელფასის მთავრობის მიერ დაწესებაზე, მეორე მხრით მათთვის ნათელია, რომ სასოფლო-სამეურნეო რაიონები მათი მთავარი დასაყრდენობია. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის დაცემა დიდ საფრთხეს უმზადებს ინგლისს თუ ომი დარჩა.

უცხოეთის ცხოვრება

ანგორა და ბუდაპეშტი უნგრეთის ყოფილი მინისტრ—პრეზიდენტი ახლა კი უნგრეთელ ფაშისტების ბელადი სტეფან ფრიდრიხი, რომელმაც იმოგზაურა ანგორაში, ახლა აწყობს „უნგრეთ-ოსმალეთის საქონლის გაცვლა-გამოცვლის სააქციონერო საზ-ბას“ და ბანკს. როგორც იუწყებიან, ამ ბანკის გამგეობაში მონაწილეობას მიიღებს ქემალ ფაშაც. ბანკს განყოფილება ექნება სმირნაში. საზოგადოების კაპიტალი უდრის 50 მილიონ კრონს.

ფრიდრიხმა ამას წინათ ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტს გადასცა ქემალის პორტრეტი მისივე წარწერით, როგორც ოსმალეთის ხალხის საჩუქარი. უნდა მომხდარიყო ოსმალეთ-უნგრეთის დაძმობილების დემონსტრაცია, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მუნიციპალიტეტის ლიდერებმა უარ-

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სამტრედია.

მილოცვა ცეკავშირს. სამტრედიის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების რწმუნებულთა პირველი ყრილობა გესალმებათ თქვენ, როგორც ძარღვს საქართველოს კოოპერაციისა, ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ თქვენ მიერ დაწყებული კამპანია კოოპერაციის გასაჯანსაღებლად საქართველოს მშრომელ ხალხს მოუტანს რეალურ შედეგებს. ყრილობა თავის მხრივ აღუთქვამს, რომ ყოველივე ღონის ძიებას იხმარს კოოპერაციის პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად.

სამხრეთ-ოსეთი.

ცხინვალი. 30 მაისი. მსოფლიო ამბები ოსეთამდე ძალიან დიდის დაგვიანებით აღწევს უგზოობისა და საფოსტო მიმოსვლის მოუწესრიგებლობის გამო. ინგლისის ულტიმატუმმა და ამხ. ვოროვსკის მკვლელობამ ელვის სისწრაფით შემოუარა მთელ სამხრეთ-ოსეთს და აამოძრავა ხალხი. 25 მაისს, ცხინვალში, დიდძალი გლეხობის თანადასწრებით გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი, რომელსაც 2000-ზე მეტი კაცი დაესწრო. ილაპარაკეს რუსულათ, ქართულად და ოსურათ. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ სამხრეთ-ოსეთს სწყურიან მშვიდობიანობა და შემოქმედებითი მუშაობა, მაგრამ მზად არის დაიცვას მთლიანობა და დამოუკიდებლობა საბჭოთა რესპუბლიკებსა.

ბათომი.

ბანდიტების განადგურება.

ბათომი. 31 მაისი. დღეს, განთიადისას, საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა ალყა შემოარტყეს გურიასა და აჭარაში მოთარეშე ბანდიტთა ბრბოს და 6 ბანდიტის შეპყრობა მოახერხეს, დანარჩენები კი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ და იბრძოდნენ ხელის ყუმბარებით. ქალაქის ქუჩებში გაჩაღდა სროლა, რომელმაც 2 საათზე მეტს გასტანა. ბანდიტების მხრივ მოკლულია: მანწკავა, სირაძე და ანდღულაძე. ჩვენის მხრივ დაიღუპა საგანგებო კომისიის წევრი ამხ. გეგენჩკი და ოგანეზოვი. შეპყრობილი ბანდიტები მონაწილენი არიან ოზურგეთში მომხდარ იზოლაძის მკვლელობაში.

აჭარა

მიწის რეფორმა

ბათომი. 31 მაისი. აჭარისტანში დღევანდლამდე ჩამორთმეულია შემდეგი რაოდენობის მიწები დესეტინობით.

მაზრები:	სახნავი	საძოვ.	ტყე	ხრიოკ.	სულ
ბათომის	1501 დ.	66 დ.	39 დ.	100 დ.	1,706
კულის	184 დ.	2949	1986	421	5,540
სულ	1685 დ.	3015	2095	521	7,245.

ბრძოლა სისხლის აღების წინააღმდეგ

ბათომი. 30 მაისი. მაზრებში მომქმედ კომისიათა მუშაობა, სისხლის აღების მოსპობის თაობაზე, დასრულდა.

აზერბეიჯანი

უწყლობა და სიცხე.

ყაზახი. 31 მაისი. ყაზახის მაზრაში სარწყავი არხების გაფუჭების გამო წყალი არ იშოვნება, რაც საფრთხეში აგდებს ნათესებს.

ძლიერი სიცხის გამო გლეხებს სურთ დაჩქარებით გარეკონ საქონელი საზაფხულო საძოვარ ადგილებზე.

მოლები კიდევ მოქმედებენ.

კუბა. 30 მაისი. კუბინის მაზრაში აღმოჩენილია მოლების მთელი რიგი უკანონო მოქმედებისა. ისინი პასუხისგებაში არიან მიცემულნი; ზოგიერთები დააპატიმრა სამაზრო აღმასკომმა.

წითელი დროშა ბაქოს პარტიულ კომიტეტს.

ბაქო. 31 მაისი. საალმშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირის წევრთა საერთო საზეიმო კრებამ კავშირის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად ერთხმად დაადგინა მიართვას ა. კ. პ. ბაქოს კომიტეტს წითელი დროშა.

ირანის რევოლიუციონერების ხსოვნისათვის.

ბაქო. 31 მაისი. სპარსეთში და აზერბაიჯანში რევოლიუციების დროს დაღუპულ ირანის რევოლიუციონერთა ხსოვნის აღსანიშნავად, ცენტრალურ მუშა კლუბში გაიმართა კონცერტი—მიტინგი.

ნარმა ხორბალზე.

ბაქო. 31 მაისი. ვინაიდან კუბატლინის მაზრისათვის ხორბალზე გადასაცვლელად გაგზავნილი ნარმის რეალიზაცია ჯერაც არ მომხდარა, მიწად მოქმედების სახალხო კომისარმა დეპეშით გასცა განკარგულება დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის და ნარმის გადაცვლის ოპერაციის დაჩქარების დამთავრების შესახებ.

მილიციაში

ბაქო. 31 მაისი. მილიციისათვის შემოღებულია ერთნაირი საზაფხულო ფორმა; სამსახურის გარეშე ნება დართულია სამოქალაქო ტანისამოსის ტარების. ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მილიციონერები ვინტოვკის მაგიერ შეიარაღებული არიან რევოლვერებით. ვინტოვკების ტარება დაშვებულია მხოლოდ ღამით.

სანიტარული საქმე.

ბაქო. 31 მაისი. ქალაქში სანიტარული ზომების გასატარებლათ ბაქოს საბჭომ წინადადება მისცა სახლების პატრონებს და მოიჯარადრეთ მოაწყონ სანიტარულ-საზოგადო კომიტეტები.

მებამბეობის კამპანია.

ბაქო. 31 მაისი. ამ ჟამად ცენტრალურ მუღანში ბამბის მთავარი კომიტეტის და მუღანის სამელიორა-

106
ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-20 მუხ. განსავითარებლად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სრულიად განთავისუფლებულ იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან ის მეურნეობა, რომელსაც ნახევარ დესეტინა სახნავი აქვს (სხვაგვარი სანახები სახნავზე გადაიტანება) და ჰყავს ორ სულზე ნაკლები სხვილფეხა რქოსანი საქონელი (სხვა სხვილფეხა საქონელი სხვილფეხა რქოსან საქონელზე გადაიტანება).

2. განთავისუფლებულ იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან ის მეურნეობა, რომელსაც აქვს ნახევარ დესეტინა სახნავზე მეტი ერთ დესეტინამდე (სხვაგვარი სანახები სახნავზე გადაიტანება),—როდესაც მოსავალი დესეტინაზე ორმოცდა ხუთ ფუთზე ნაკლებია.

3. დანარჩენ მეურნეობათათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი განაკვეთი.

I

განაკვეთი ერთ დესეტინა სახნავზე ხორბლეულ ერთეულად.

რაიონი, სადაც საშუალო მოსავალი დესეტინაზე უდრის (ფუთობით).

№№ რიგზე	მეურნეობა დესეტინების რაოდენობით.	25-დე	25 მეტი 30-დე	30 მეტი 35-დე	35 მეტი 40 დე	40 მეტი 45-დე	45 მეტი 50-დე	50 მეტი 60-დე	60 მეტი 70-დე	70 მეტი 80-დე	80 მეტი 100-დე	ას ფუთზე მეტი.
1	ნახევარ დესეტინაზე მეტი ერთ დესეტ.-დე.	—	—	—	—	—	20 გირ.	30 გ.	1 ფ.	1 ფ. 10 გ.	1 ფ. 30 გ.	2 ფ. 30 გ.
2	ერთ დესეტინაზე მეტი 2-დე	20 გირ.	30 გირ.	1 ფ.	1 ფ. 20 გ.	2 ფ.	2 ფ. 20 გ.	3 ფ. 20 გ.	4 ფ. 20 გ.	5 ფ. 20 გ.	7 ფუთ.	8 ფ. 20 გ.
3	ორ დეს. მეტი—3-დე	30 გირ.	1 ფ.	1 ფ. 20 გ.	2 ფ.	2 ფ. 20 გ.	3 ფ. 20 გ.	5 ფ.	6 ფ. 20 გ.	8 ფუთ	10 ფუთ.	12 ფუთ.
4	სამ დეს. მეტი—4-დე	1 ფუთ.	1 ფ. 20 გ.	2 ფ.	2 ფ. 20 გ.	3 ფ. 20 გ.	4 ფ. 20 გ.	6 ფ.	7 ფ. 20 გ.	9 ფუთ.	11 ფუთ.	13 ფუთ.
5	ოთხ დეს. მეტი—6-დე	1 ფ. 20 გ.	2 ფ.	2 ფ. 20 გ.	3 ფ. 20 გ.	4 ფ. 20 გ.	5 ფ. 20 გ.	7 ფ.	8 ფ. 20 გ.	10 ფუთ	12 ფუთ.	14 ფუთ.
6	ექვს დეს. მეტი	2 ფ. 20 გ.	3 ფ.	3 ფ. 20 გ.	4 ფ. 20 გ.	5 ფ. 20 გ.	7 ფ.	8 ფ. 20 გ.	10 ფ.	11 ფ. 20 გ.	13 ფ. 20 გ.	16 ფუთ.

II

განაკვეთი თითო სულ მსხვილ რქოსან საქონლისათვის

№№ რიგზე	მსხვილი რქოსანი საქონლის რაოდენობა.	განაკვეთი თითო სულზე ხორბლეულ ერთეულად.
1	2-დან 3 სულამდე.	5 გირვ.
2	სამზე მეტი—ხუთამდე	10 გირვ.
3	ხუთზე მეტი—ათამდე	15 გირვ.
4	ათზე მეტი—ოცამდე	20 გირვ.
5	ოც სულზე მეტი.	25 გირვ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თალიბლი.

1923 წ. მაისის 29.
ტფილისი.

ციო საალმშენებლო განყოფილების ბამბის ნათესებზე ნათესების მორწყვის საქმე წესრიგში მოჰყავთ. ზემო-მუღანის არხის შტო და მაგისტრალი ახლო მომავალში შეკეთებული იქნება. გაზაფხულის დაგვიანების და ბამბის ნათესებისათვის წყლის მიუწოდებლობის გამო ბამბა არ იქნება აკრეფილი 25 ივნისამდე. ბამბის შესყიდვის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის აზერბეიჯანში დაარსდა შემსყიდავი ბიურო, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ დაინტერესებულ სახელმწიფო დაწესებულებები, ცენტრო-კავშირის, რუსეთის სახელ. ვაჭრობის სამმართველოს და სხვ. წარმომადგენლები. ბიუროს სათავეში დგანან ბამბის მთავარი კომიტეტის რწმუნებული და სრულიად—რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარე. მუღანი დიდ შესაძლებლობას იძლევა იქ მებამბეობის განვითარებისათვის. წელს შეიძლებოდა გაცილებით უფრო მეტი შედეგების მიღწევა, რომ მუშაობისათვის ხელი არ შეეშალა ობიექტიურ პირობებს. მოსავალს კარგი პირი უჩანს. თუ ცენტრალურ მუღანში შესრულებული იქნება ბამბის მთავარი კომიტეტის და მუღანის სამელიორაციო-საალმშენებლო განყოფილების მიერ დასახული პროგრამის 50—70 პროცენტი, ეს ჩაითვლება დიდ წარმატებათ საფეიქრო მრეწველობისათვის ბამბის რესურსების მომატების სფეროში. მახლობელ წლებში ჩვენ შევძლებთ ჩვენი საფეიქრო მრეწველობის საკუთარი ბამბით უზრუნველყოფას, შესაძლებელია დაგვჭირდეს მხოლოდ ეგრედ წოდებული ეგვიპტეს ბამბა, რომელიც ხმარდება ზოგიერთი ხარისხის ქსოვილებს და ძაფებს.

ქარხანა ამუშავდა.

ბაქო. 31 მაისი. საბუნჩში ამუშავებულია აგურის ქარხანა, რომელიც შეჩერებული იყო 7 წლის განმავლობაში.

სეტყვისაგან დაზარალებულთა დახმარება.

ბაქო. 31 მაისი. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სათესლე სესხის განყოფილებამ გაგზავნა განჯიდან ტერტერის მაზრაში სეტყვისაგან დაზარალებულთათვის 712 ფ. ფეტვი. 500 ფ. სიმინდის ამას გარდა ადგილობრივ მარაგიდან გაცემულია 730 ფუთი.

მოსკოვიდან ტაშკენტში გადაფრენა.

ბაქო. 31 მაისი. 29 მაისს ბაქოში მოსკოვიდან მოფრინდა იუნკერსზე რ. ს. ფ. ს. რ. საჰაერო ფლოტის მთავარი უფროსი ამხ. ზნამენსკი. 30 მაისს ამხ. ზნამენსკი გაფრინდა ტაშკენტში.

ნავთის პროდუქტების გაზიდვა.

ბაქო. 31 მაისი. 28 და 29 მაისს ბაქოდან ასტრახანში გაზიდულია 1,455, 100 ფუთი გაუწმენდელი ნავთის პროდუქტი, ნავთი გაწმენდილი—187,798 ფ. პეტროვსკიდან გაზიდულია გროზნოს პარაფინისებური ნავთი ასტრახანში—20,496 ფ. კრასნოვოდსკში—52,917 ფუთი.

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცეკას პლენუმი.

ბაქო. 31 მაისი. 1 ივნისს შესდგება აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას მორიგი პლენუმი.

სომხეთი

რეისები სევანის ტბაზე.

ერევანი. 31 მაისი. 28 მაისს სევანის ტბაზე ხომალდმა „ლუკაშინ“-მა შეასრულა პირველი ორი პრაქტიკული რეისი: ერთი ელენოვკიდან ჩიბუხლუში, მეორე ელენოვკა—ცამაკაბერტ—ნალეჟდინო უკან დაბრუნებით. ხომალდი მიდიოდა საათში 15 ვერსს, რეისების შედეგები დამაკმაყოფილებელია. რეისებს დაესწრენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლუკაშინი, სომხეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი და მთელი რიგი პასუხისმგებელ მუშაკებისა. მცხოვრებლები აღფრთოვანებით შეეგებნენ სევანის ტბაზე ხომალდის პირველ მუშაობას.

ფიზიკური კულტურა.

ერევანი. 31 მაისი. ფიზიკური კულტურის განყოფილებამ დაადგინა: წინადადება მისცეს ყველა დაწესებულებებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფიზიკურ კულტურასთან, იწვევიან ტანთვარჯიშობას, სპორტს—გატარდენ რეგისტრაციაში და წარმოადგინონ ფიზიკური აღზრდის წესდება და სისტემა. რეგისტრაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს 15 ივნისისა.

უპარტიო ქალთა ყრილობა.

კარაკლისი. 31 მაისი. 3 ივნისისათვის კარაკლისში მოწვეულია უპარტიო ქალთა სამაზრო ყრილობა.

წიგნის და გუთნის კავშირი.

ერევანი. 31 მაისი. ლორის მაზრის ზოგიერთ სოფლების გლეხებმა უკვე დახნეს და დათესეს ის მიწები, რომლებიც ეკუთვნოდენ სასოფლო სკოლებს.

ნახიჩევანის მხარე

ბრძოლა კალიის წინააღმდეგ.

ნახიჩევანი. 30 მაისი. ჯულფის, ორდუბათის, მეგრამის და ბეშტის რაიონებში კალიის წინააღმდეგ ბრძოლა დასრულდა.

ბამბის საქმე.

ნახიჩევანი. 30 მაისი. რუსეთ-აზერბეიჯანის სავაჭრო ამხანაგობამ ხელშეკრულება დასდო ნახიჩევნის მხარის მებამბეებთან 100 დესეტინა ბამბის მოსავლის შესახებ. თითო დესეტინაზე მოვა არა ნაკლებ 40 ფუთი ბამბისა.

ამხ. სამოილოვას ხსოვნას

კონკორდია ნიკოლოზის ასული სამოილოვა ანუ ამხ. ნატაშა, როგორც მას უწოდებდენ პარტიულ წრეებში, იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება რუსეთის ქალთა პროლეტარულ მოძრაობაში. 20 წელზე მეტი მუშაობდა ის პარტიაში, მტკიცედ მიჰყვებოდა ერთხელ არჩეულ გზას და არ ღალატობდა თავის საქმეს აუტანელი შავბნელ რეაქციის წლებშიც. როგორც ციმბირელი, დემოკრატიულ წრიდან გამოსული, ის გრძნობდა თავის სიახლოვეს პროლეტარიატისადმი და თავდავიწყებით ეძლეოდა მის სამსახურს. ნატაშას იცნობენ პეტერბურგში, ბაქოში, ოდესაში და სხვ. ქალაქებში, სადაც კი მას უხდებოდა მუშაობა სხვა და სხვა დროს.

1905 წ. ამხ. ნატაშა უკვე გატაცებული ბოლშევიკი ქალია. რევოლიუციის ჩახშობის შემდეგ, რეაქციის მძვინვარების წლებში ის თავის თავს აიმედებდა და მისი რწმენა მუშათა კლასის ძლიერებაში არ შერყეულა.

ლენაში, მის შორეულ ციმბირში, მუშების დახვრეტის შემდეგ, მას უოთხკეცდება მუშაობის წყურვილი. ამ დროს გამოსვლას იწყებენ გაზეთები: „ზვეზდა“ და „პრავდა“. ამხ. ნატაშა უკვე რედაქციაშია. ერთი მეორეზე იჭერენ და ციხეში ათავსებენ გაზეთების მდივნებს. ამხ. ნატაშა გაბედულად იკავებს უკანასკნელ მდივნის ადგილს, და ხელს უწყობს გაზეთის გამოსვლას.

მაგრამ თავის ამხანაგების დაჭერიდან წლის შემდეგ ამხ. ნატაშაც ციხეში მოხვდება. 1914 წ. შეიპყრეს ჟურნალ „რაბოტნიცა“-ს რედაქცია, სადაც იყო ამხ. სამოილოვა.

17 წელი სიხარულით ავსებს ამხ. სამოილოვას, ის თავდავიწყებით ებმება ქალთა მოძრაობაში, მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას იჩენს და წარუშლელ კვალს სტოვებს.

მაგრამ უეცრად ამხ. ნატაშა სიცოცხლეს გამოესალმა.

ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობის დროს 1921 წელში ის მოხვდა ასტრახანში, სადაც ის ხდება ხოლერის ეპიდემიის მსხვერპლი.

ამხ. ნატაშას ნათელი ხსოვნა დაუვიწყარია ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუციის ინტერესები; ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ქალთა განთავისუფლება და ვისაც უმუშავნია მასთან.

პარტიული ცხოვრება

კოლოფების დამამზადებელ 1-ლ სახელმწიფო ქარხნის კომუჯრედის № 14 ბიუროს 1923 წ. მაისის ანგარიში.

უჯრედის შემადგენლობა.

უჯრედის შემადგენლობა ისეთივეა როგორც აპრილში იყო, რ. ი. კომპარტიის წევრები—11, კანდიდატები—7, უჯრედში სამუშაოთ მივლენილი კომპარტიის წევრი—3, კანდიდატი—2. არის ბიურო, რომელიც 3 წევრისა და 1 კანდიდატისაგან შესდგება. წევრები—ფრიდონოვი, ტერყაზაროვი, ვართანოვი, კანდიდატი—როტინოვი.

ბიუროს მუშაობა.

საანგარიშო დროის განმავლობაში ბიუროს ჰქონდა 4 სხდომა, რომელსაც დაესწრენ ბიუროს წევრები—12, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის უჯრედიდან—3, სამხედრო უჯრედიდან მივლინებული—2, სულ ბიუროს სხდომებზე დაესწრო 17 კაცი. სხდომებზე გაირჩა კულტ-განმანათლებელი საკითხი—2, პარტიული—4, საწარმოო—2. საანგარიშო თვის ბოლოს ბიუროში შემოვიდა 4 მუშის განცხადება მათი კომუნისტურ პარტიაში მიღების შესახებ.

მუშაობა უჯრედში.

საანგარიშო თვის განმავლობაში უჯრედს ჰქონდა 3 სხდომა, რომელთაგან ორი ღია იყო და ერთი დახურული, სხდომებს დაესწრენ უჯრედის წევრები—41 კაცი, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის უჯრედის წევრები—9 კ. სამხედრო უჯრედიდან მივლინებული—2, უპარტიოები—38 კ. უჯრედის სხდომებზე დაესწრო სულ—90 კაცი. სხდომებზე გაირჩა საკითხები: პოლიტიკური—1, კულტგანმანათლებელი—2, პარტიული—7, საწარმოო—1. საანგარიშო თვეში მოსმენილ იქნა ჩვენი ქარხნის კულტკომისიის ანგარიში კომუჯრედი ყველა არჩევნებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს უპარტიოთა შორის.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის უჯრედში მუშაობა და მასთან დამოკიდებულება.

უჯრედის ბიურომ კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის უჯრედში სამუშაოდ გაგზავნა ამხ როტინოვი. მუშაობა ამ ჟამად ეწყობა, მაგრამ დიდი დანაკლისია იმაში, რომ უჯრედის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ამხ. ბელენკი ვერ არის ბეჯითი და ხშირათ არ ესწრება კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის უჯრედის კრებებს. იმის გამო, რომ უჯრედის წევრების უმრავლესობას ცუდათ ესმის ან სულ არ ესმის რუსული ენა, ამიტომ იქ სამუშაოდ გაგზავნილი ამხ. როტინოვი ახსნა-განმარტებას აძლევს მათ ამა თუ იმ საკითხის შესახებ ქართულ ენაზე, რამაც უჯრედის მუშაობა უფრო გააცხოველა. ყველა ტექნიკურ მოწყობილებას კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის უჯრედი ღებულობს კომუჯრედიდან. კომუჯრედმა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის უჯრედთან ერთად აირჩია კომისია სოფელზე შეფობის მისაღებად.

მუშაობა უპარტიო მუშათა და მუშა ქალთა შორის.

ქარხნის კომუჯრედის წევრების ინდივიდუალური მივლინება უპარტიო მუშათა შორის სამუშაოდ არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ხშირათ იმართება შეერთებული საღამოები და ბაასი და საერთოდ პარტიული ამხანაგები განუწყვეტლივ უპარტიო მუშებთან სცხოვრობენ. უჯრედის ყველა დადგენილებები ამა თუ იმ საკითხზე ერთხმად არის მიღებული ყველას მიერ. კომუჯრედმა 15 მაისს გამართა საღამო, რომლის დაწყებამდი ამხ. ავენირმა მოხსენება გააკეთა პრესის დღისა და კარლ მარქსის დაბადებიდან 105 წლის შესრულების შესახებ, რამაც მუშები ძალიან დააინტერესა. მოხსენებას დაესწრო 250 კაცი 2 საარტილერიო დივიზიონის წითელ-არმიელებთან ერთად.

ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად კომუჯრედმა დანიშნა ამხ. ვიტტე, რომელმაც საანგარიშო თვის განმავლობაში ერთი საერთო კრება მოაწყო 89 ქალის თანადასწრებით. გაკეთებულ იქნა მოხსენება: „რა მისცა ქალებს საბჭოთა ხელისუფლებამ“. ქალები იწყებენ მონაწილეობის მიღებას ლიტერატურულ და ისტორიულ წრეებში.

ქარხანასთან მუშაობს 2 პოლიტიკური წრე ქართულსა და რუსულ ენაზე. წრეში მონაწილეობას ღებულობს უპარტიო მუშების უმრავლესობა. საერთოდ ისინი ძალიან დაინტერესებული არიან პოლიტიკური ანბანით და მათ დიდი ლტოლვა ემჩნევათ განათლებისაკენ.

კომუჯრედმა ჩვენი ქარხნის ორი წლის არსებობის თავზე გამართა საღამო-მიტინგი, სადაც სიტყვები იყო ნათქვამი ამ დღის მნიშვნელობაზე კომუჯრედის წევრების მიერ. თავისი წევრების საშუალებით კომუჯრედი ხელმძღვანელობას უწევს ჩვენი ქარხნის მთელ ცხოვრებას, როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ განმანათლებელ მუშაობის მხრივ. არჩევნების დროს არ ყოფილა შემთხვევა, რომ მისი სია არ გასულიყოს.

წითელ არმიასთან კავშირი.

წითელ არმიასთან კავშირი კულტურულ მუშაობის მხრივ მჭიდროა, მაგრამ მდივანთა საბჭოს დადგენილების თანახმად ჩვენ ვცდილობთ პარტიული კავშირის გაძლიერებასაც. მოვაწყობთ საერთო წმინდა პარტიულ საღამოებს და ექსკურსიებს და აგრეთვე ორივე უჯრედებში საერთო უფრო მჭიდრო მუშაობით ჩვენ შევძლებთ კარგი შედეგების მიღებას.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ჩვენ ქარხანასთან მეცადინეობს ორი ჯგუფი: ქართული და რუსული. ქარხანაში წერა-კითხვის უცოდინარი მუშები არ არიან. არსებულ სკოლების უკანასკნელი გამოშვებით წერა-კითხვის უცოდინარობა სრულიად მოსპობილია, გარდა ორი ძველი მუშისა, რომელთაც სწავლა არ ეხერხებათ.

როტინოვი.

ს უ ფ ს ა.

5 მაისს პრესის დღეს შესდგა სუფსის თემის კომორგანიზაციის საზოგადო კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება პრესის დღის მნიშვნელობის შესახებ, 2. პოლიტ-განყოფილების დაარსება და 3. პასუხის მგებელ კორესპონდენტის არჩევა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამ საკითხის გასაშუქებლად მაზრიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ამხ. მამია კილაძემ, რომელიც ფართედ შეეხო პრესის მნიშვნელობას პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, დაასურათა მუშათა პრესის თავგანწირული ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამხანაგმა თავისი სიტყვა დაათავა მოწოდებით: რომ ათ კაცზე ერთი გაზეთი მაინც უნდა გავავრცელოთო.

გაზეთების გავრცელების საქმე რომ კარგად იქნეს მოწესრიგებული და ჩვენი რაიონის ყველა სოფლებში სისტემატიურად მიდიოდეს გაზეთები, კრებამ აირჩია სამი ამხანაგისაგან შემდგარი კომისია, რომლის მიზანს შეადგენს, როგორც გაზეთების გავრცელების საქმის მოწყობა, ისე საზოგადოდ კულტურულ განმანათლებელ დარგში ყოველგვარი ენერგიული მუშაობა და ინიციატორობა. რაიონის ყველა კუთხეში არჩეული არიან კორესპონდენტები, რომლებიც ვალდებულნი არიან ყოველივე საზოგადო ხასიათის ცნობები სოფლის ცხოვრებიდან მიაწოდონ რაიონის წარმომადგენელ კორესპონდენტს; უკანასკნელი ცნობების სინამდვილის შემოწმების შემდეგ უკვე გაზეთებს გადუგზავნის გამოსაქვეყნებლად.

რაიონულ პასუხისმგებელ კორესპონდენტათ კრებამ ერთხმად აირჩია ამ წერილის ხელის მომწერი. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. ჯერჯერობით მან მოაგროვა კერძო შემოწირულების სახით ათი მილიონი, რომლითაც გაზეთები უკვე გამოწერილია ყველა სოფლებზე გასანაწილებლად. ახლო მომავალში კი განზრახულია დიდი წარმოდგენის გამართვა, რომლის სრული შემოსავალი მოხმარდება გაზეთების გავრცელების საქმეს.

ა. თოდრია.

ეკონომიური ცხოვრება

ძვირფასი ქვების კურსი.

(ჩერვონცებით)

1 ივნისი

ოქროს ზოდი 96 სინჯისა	7 მ. 35 კ.
ოქროს 56 სინჯისა	3 მ. 67 კ.
ვერცხლის 84 სინჯისა	14 კ.
ვერცხლის 1 მ. ხურდა ფული—	37 კ.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

1 ივნისი.

დღეს ვალიუტის ბაზარზე განწყობილება მაგარი კურსისაა. დიდი მოთხოვნილებაა გირვანქებისა, დოლარებისა და ჩერვონცებისა.

მუშკოოპის ფასები.

1 ივნისი.

თეთრი პური—45 ათასი. თეთრი ფქვილი 1 ხარისხის—100 ათასი. თეთრი ფქვილი 2 ხარის.—70 ათასი. ასანთი—40. საპონი „ბაბიტ“—350 ათასი. საპონი „ტოლლე“—340 ათასი. ადგილობრივი მარმარილოს საპონი—330 ათასი. ლობიო—25—35 ათასი.

საქონლის ბაზრის ფასები.

(საბითუმო).

ყუბანის ხორბალი—1700. ადგილობრივი ხორბალი—1500. სიმინდი—450—500. აქულის ბრინჯი—6000. ფქვილი „კრუპჩატკა“—3600. ყუბანის ფქვილი 1 ხარისხ.—2900—3000. ნატეხი შაქარი—18,000. შაქრის ფხვნილი—13,600. კარაქი 1 ხარისხ.—23,000—24,000. თუშური ყველი—6000—12,000.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდებანი.

სოხუმისა და ლაგოდეხის ფოთლოვანი თამბაქო, ავსტრიული პარაფინი მარსელის საპონი „ელექტრა“. ტყავის ღვედები. საამშენებლო ლურსმნები. გოგირდი „ბუდა“. რუსეთის ასანთი. ფურცლოვანი სპილენძი. რკინეულობა. კანაფი. ავსტრიის ცელები. სახურავის რკინეულობა. ყუბანის ფქვილი.

ბირჟის მოთხოვნილება.

1 ივნისი.

ფოთლოვანი თამბაქო. ბამბა. მატყლი. ხორბლეულობა. ყუბანის ფქვილი. შაბი. ცხვრის ნაწლევები. მუშების ფეხსაცმელები. სახურავის რკინეულობა.

შავი ქვის კომიტეტში.

შავი ქვის მექანიკური დატვირთვა.

შავი ქვის კომიტეტმა განიხილა პროექტი შავი ქვის მექანიკური დატვირთვის მოწყობისა ინჟინერ კიაზიმას და ფილდის სისტემით. კომიტეტმა დაადგინა ეს საკითხი გადაეცეს გადასაწყვეტათ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რადგანაც მექანიკურ დატვირთვას საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც დიდათ ამცირებს მადნეულის დატვირთვის ხარჯებს. ამ სისტემას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალში, როდესაც დავიბრუნებთ იმ ბაზრებს, რომლებიც ინდოეთისა და ბრაზილიის მეტოქეობამ ხელიდან გამოგვაცალა.

დასატვირთი ბაქნების განაწილება ჭიათურაში.

ჭიათურაში გასანაწილებელი იყო 511 შავი ქვის დასატვირთი ბაქანი. შავი ქვის კომიტეტმა უკვე გაანაწილა 485, დანარჩენი დაეთმობათ იმათ, ვისაც ესაჭიროება.

დარკვეთის სადგურზე 90-დან განაწილებულია 67 ბაქანი, დანარჩენი 23 თავისუფალია და მსურველთ შეუძლიათ ითხოვონ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მონაწილეობა ლიონის ბაზრობაზე.

ა. ფირალოვი „ლიონის წერილებში“ საგულისხმო ცნობებს გადმოგვცემს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მონაწილეობის შესახებ ლიონის გამოფენაზე.

ამიერ-კავკასიის მონაწილეობა გამოფენაში არ იყო ნამდვილი ბაზრული ხასიათისა, რადგანაც გამოფენისაქონელი გასასყიდათ დამზადებულ საქონლის ნიმუშებს არ წარმოადგენდა.

საბაზრო ნიმუშებთან გამოფენილი იყო აგრეთვე ექსპონატები, რომლებსაც მიზნათ ჰქონდა დასახული საფრანგეთის მრეწველთა წრისათვის ფართოდ გაეცნოთ ამიერ-კავკასიის წარმოებითი უნარი და მერმისის სავაჭრო პერსპექტივები.

ამ მიზანს სავსებით ვერ მიაღწიეთ, რადგანაც ჩვენი ქვეყნის არსებითი სიმდიდრენი—თამბაქო, თამბაქოს ნაწარმოებნი, ღვინო, კონიაკი, სპირტი, საფრანგეთის საბაჟოში გააჩერეს, რის გამოც ბაზრობაზე ვერ მიწვდა ეს საქონელი.

ამისი მიზეზი გახლდათ საფრანგეთში არსებული თამბაქოს მონოპოლია და ღვინის კრიზისი, რის გამოც საფრანგეთმა არ მოისურვა თავის ქვეყანაში სამეტოქეო საქონლის შეშვება.

ზემოხსენებულ დარგების გარდა ბაზრობაზე გამოფენილი იყო ჩვენებური: აბრეშუმი, აბრეშუმის პარკი, ფრიზონი, ნავთის მრეწველობის ნაწარმოებნი, შავი ქვა, ქვა-ნახშირი, ამიერ-კავკასიის ჯიშიანი ხე-ტყე, სპილენძი, ხიზილალა, თევზის ზეთი, ხილეული და ხილის კონსერვები, „ნაწლევები და სხვა.

ბაზრობაზე გამოკიდებული იყო აგრეთვე კარტოგრამები, დიაგრამები და სტატისტიკური ცხრილები იმის დასასურათებლად თუ რა დონეზე სდგას ჩვენში ბაზრობაზე გამოფენილი უმთავრესი ნიმუშების წარმოება.

გამოფენილი ნიმუშები და საქონელი დიდს ყურადღებას იქცევდა საფრანგეთის მრეწველთა და ვაჭართა წრისას.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია აბრეშუმის წარმოებამ, რადგანაც თვითონ ლიონი და მისი მიდამოები მსოფლიო დიდა-ბუდეა აბრეშუმის საქსოვ მრეწველობისა. ეს მრეწველობა კი ამ ბოლო დროის ნედლი მასალის უქონლობით დაქვეითდა და შემცირდა, მით უმეტეს, რომ კავკასიიდანაც შეწყვეტილია ამ ნედლი მასალის მიწოდება.

დიდი მოთხოვნილებაა ამიერ-კავკასიის ხე-ტყის მასალაზე, აგრეთვე თხოულობენ ნაწლევებს და ძირტკილას.

განსაკუთრებით მოსწონდათ მშვენივრად შედგენილი შავი ქვის ნაირნაირი ნიმუშები, „ჩემოს“ წარმოდგენილი.

ბევრმა მოგვმართა ხელშეკრულებების დასადებათ, მაგრამ ასეთი წინადადებით მსურველებს მივუთითეთ შავი-ქვის წარმომადგენლობაზე, რომელიც ჰაგაშია.

ლონდონში დაიდო ერთი დიდი თანხის ხელშეკრულება ნავთზე ბაზრობის დახურვისათანავე.

წითელ ჯარში

წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში.

დღეს 2 ივნისს მოხდება საზეიმო გახსნა წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბის ბაღისა და საზაფხულო თეატრისა.

წარმოდგენილი იქნება ქართულ და რუსული სექციების მიერ:

1. „სიკვდილის აჩრდილი“. სანიტარული მელოდეკლამაცია ქართულ ენაზე 1 მოქ. 2. გუშაგი მასიუტინი“ 3-მოქმედ. რუსულ ენაზე. წითელ-არმიელთა ძალების მიერ გაიმართება. ა) საკუთარ ლექსების კითხვა, ბ) სიმღერა-ხორო და სიმღერა-სოლო. კინოში რევოლიუციონური სამეცნიერო ხასიათის სურათები. 1. ბაღში დიდი სეირნობაა. დაუკრავს სამხედრო და აზიური ორკესტრი. 2. ბაღი მორთული იქნება მხატვრული პლაკატებით, და ლოზუნგებით. 3. ბაღში მოწყობილი იქნება პოლიტ-აუქციონი, ჯადო ფარანი, და პოლიტ-ტელეფონი. ბუფეტი: ტკბილი წყლებით. წითელ არმიელებისათვის და სამხედრო მოსამსახურეებისათვის შესვლა თავისუფალია. სეირნობა დაიწყება 6 საათ. თეტრი და კინო—7 საათ.

ცირკულიარულად.

საბჭოთა საქართველოში „ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეულის“ ჩამტარებელ სამაზრო კომისიებს ცნობათ და შესასრულებლად.

საქართველოს ცენტრალურ აღმასკომთან არსებულმა „ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეულის“ გამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ თავის დროზე დაუგზავნა სამაზრო აღმასკომებს ინსტრუქციები „ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეულის“ გასატარებლად. დღემდე ცენტრალურ კომისიას არავითარი ცნობა არ მოეპოვება მაზრებში კვირეულის ჩატარების შესახებ. ამიტომ კატეგორიულადწინადადება ეძლევათ ყველა სამაზრო კომისიებს, სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, გვაცნობოთ მაზრებში კვირეულის მიმდინარეობის შესახებ. ამავე დროს თუ კვირეული არ იყო გატარებული—დაუყოვნებლივ შეუდგეთ მისი გატარების მოწყობას, გააფართოვოდ როგორც სააგიტაციო (ომში დასახიჩრებულთა უზრუნველყოფის მნიშვნელობის შესახებ), ისე შემოწირულებათა მოგროვების კამპანია. მიღებულ ზომების შესახებ გთხოვთ სასწრაფოდ, აცნობოთ—საქართველოს ცენტრალურ აღმასკომთან არსებულ „ომში დასახიჩრებულთა დახმარების კვირეულის“ გამტარებელ ცენტრალურ კომისიას (ბარიატინსკის ქ № 5 საქ. სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტი)

თუ მოგროვებულია შემოწირულება (ფულებით, პროდუქტებით), გამოგზავნეთ დაწვრილებითი ანგარიშები, გასამართლებელ დოკუმენტებით, ფული გადმოგზავნეთ ტფილისში ცენტრალური კომისიის მისამართზე.

ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე—**მიხა ცხაკაია.**

მდივანი—**დ. მაზარაძე.**

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირში.

საპონ-ზეთის ტრესტში.

26 მაისს შესდგა საპონ-ზეთის ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრებას დაესწრო 120 მუშა. კრების უმთავრესი მიზანი იყო გამოირკვია ტრესტის მდგომარეობა და მისი მრეწველობა. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. აგარონოვმა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ტრესტის მოქმედება და ის სათანადო ზომები, რომელიც მან მიიღო მრეწველობის გასაუმჯობესებლად საჭირო ნედლეულ მასალის შეძენით.

აფთიაქში მომუშავეთა ბიუროში

წამლეულობის გაცემა.

აფთიაქის მომუშავეთა მუშაკების ბიურო საავადმყოფო კასას მუდმივ დახმარებას უწევს წამლეულობის მიცემით. წამლეულობა ეძლევათ საფარმაცევტო განყოფილებიდან 50 პროცენტის რაოდენობით.

ქიმიური ლაბორატორია.

ბიურომ გახსნა ქიმიური ფარმაცევტთა ლაბორატორია. ლაბორატორია კარგად არის მოწყობილი და აქვს შესაფერი ინვენტარი.

საკუთარი ორგანო.

ბიურომ განიზრახა გამოსცეს თავისი საკუთარი ორგანო, სადაც გაშუქებული იქნება მეაფთიაქეთა მოღვაწეობა.

პროფესიონალური უფლებები.

ჯანსახკომმა გამოიმუშავა წესდება პროფესიონალურ უფლებების შესახებ. ეს წესდება წარედგინა ბიუროს, რომელთაც უნდა იხელმძღვანელოს წევრთა მიღების და ჩაწერის დროს.

ალმშენებლობის კავშირში

სახელმწიფო ალმშენებლობის კომიტეტ.

ალმშენებლობის კავშირმა სახელმწიფო ალმშენებლობის კომიტეტს გაუგზავნა მიწერილობა, რომლის ძალით ეკრძალებათ რაიმე კოლექტიურ პირობების დადება აწარმოონ ცენტრალურ კავშირის დაუკითხავად.

კავშირის დღესასწაული.

დღეს 2 ივნისს ალმშენებლობის კავშირი თავის არსებობის 2 წლის აღსანიშნავად პროფსაბჭოს საზაფხულო კლუბში აწყობს დღესასწაულს. ეკრანზე ნაჩვენები იქნება რევოლიუციონური სურათები. გაიმართება კონცერტი.

სამოქალაქო ალმშენებლობის შესახებ.

ალმშენებლობის კავშირმა შუამდგომლობით მიმართა სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს, რომ სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტი გადააკეთოს სამოქალაქო ალმშენებლობის სამართველოდ.

პროფსაბჭოში.

მუშების ექსკურსია.

კულტგანყოფილება დღეს 2 ივნისს აწყობს მუშათა ექსკურსიას. ექსკურსია გაიმართება საქართ. სამხედრო გზით და გაივლის სოფელ თელავანის და ქარსანის დასათვალიერებლად.

განათლების მუშაკთა კავშირში.

უმუშევართა და ურთიერთ დამხმარე ფონდი.

განათლების მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა იშუამდგომლოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების წინაშე, რომ უკანასკნელმა გამოიმუშავოს წესდება უმუშევართა და ურთიერთ დამხმარე ფონდით ზაფხულში სარგებლობის შესახებ.

დახმარება კავშირის წევრთ.

აპრილის განმავლობაში კავშირმა გაუწია დახმარება 65 უმუშევარს და 45 მომუშავე უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებაში მყოფ წევრს.

ავადმყოფ წევრებისათვის.

განათ. მუშ. კავ. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მაისში ავადმყოფ წევრთათვის მისაცემი ულუფა ფულის სახით გასცეს, ხოლო ულუფა გაადიდოს ერთი ორად.

საბჭოთა მოსამსახურეების კავშირში.

საბუღალტრო კურსები.

საბ. მოსამ. კავშირის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დაარსოს საბჭოთა მოსამსახურე პროფ. კავშირის წევრებისათვის საბუღალტერო კურსები.

აგარაკი საბჭოთა მოსამსახურეების ბავშვებისათვის.

საქ. პროფ. საბჭომ აღუთქვა 15 ადგილი ბავშვებისათვის აგარაკ კოჯორში საბჭოთა მუშაკებს, მიმდინარე ზაფხულის სეზონში.

სამაზრო განყოფილებებისათვის.

კავშირმა სამაზრო განყოფილებებისთვის კულტმუშაობაობის საწარმოებლად გადასდო 185 მილიონი. ა | კ. ფულის ნიშნებით.

მიწა-ტყის კავშირში.

საურთიერთო დამხმარე სალარო.

პრეზიდიუმმა დაადგინა გადასცეს საურთიერთო დამხმარე სალაროს წევრებისათვის სესხის მისაცემად კავშირის სალაროში პროცენტების შემოტანით დაგროვილი თანხა.

ხე-ტყის კავშირის წევრები მოსკოვის გამოფენაზე.

მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მიემგზავრება 50-მეტი ხეტყის მუშაკთა კავშირის წევრი, რომელთათვისაც საჩუქრად გადადებულია 2 მანეთი თვითეულზე, გამგზავრებულს მიეცემათ სამგზავრო ხარჯებში 80 პროც. შეღავათი და 6 დღით ბინა მოსკოვში უსასყიდლოდ.

დახმარება ქართლ კახეთის მამულის მუშებს.

კავშირმა თხოვნით მიმართა მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს, რათა ქართლ კახეთის მამულის მუშა-მოსამსახურეებს მიეცეთ შეშა და ნავთი უფასოთ.

ნიხრი სამეურნეო იარაღების გასინჯვისათვის.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა მიწადმომწყობი განყოფ. მიერ შემუშავებული ნიხრი განყოფილებაში სასოფლო სამეურნეო იარაღების გასინჯვისათვის.

იურიდიული დახმარება მუშებს და გლეხებს.

კავშირმა მიწად-მოქმედების იურიდიულ განყოფილებას დაავალა გაუწიოს იურიდიული დახმარება მიწის მფლობელობის საქმეების მოსაწესრიგებლად მაზრებიდან ჩამოსულ მუშაგლეხებს.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **ლენინის სახელობის მუშათა სახლი.** ცენტრალურ საალმშენებლო საბინაო საზოგადოებას „ცენტროსტროის“ მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით გაუდიდდა სუბსიდია 1000 მანეთამდე ოქროთი,—ლენინის სახელობის მუშათა სახლების აშენებლად კვირეში 250 მან. მიცემით.

— **მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.** პრეზიდიუმმა დაადგინა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაიგზავნოს ორი წარმომადგენელი და საჭირო ექსპონატები.

— **ავჭალის მუშათა კლუბი.** პრეზიდიუმმა დაადგინა ავჭალის მუშათა კლუბის გამგეობას, აღნიშნულ კლუბის შესაკეთებლად მიეცეს 15 ბოჭკა ცემენტი.

— **ფოსტა-ტელეგრაფის გახსნა ყარაიაზში.** პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის წინაშე, რათა ყარაიაზში გაიხსნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

— **აგარაკი ბავშვებისათვის.** პრეზიდიუმმა განათლების განყოფილებას აგარაკ აღბულაღში დაუთმო საჭირო ბინები ამერიკელ კომიტეტის 200 ბავშვისათვის.

სხვა და სხვა.

— **ფქვილის მიღება.** ა | კ. მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატივმა კრასნოდარიდან მიიღო 4 ვაგონი პურის ფქვილი მუშა-მოსამსახურეებზე დასარიგებლად.

— **ბავშვის დაკარგვა.** დაიკარგა გიორგი პავლეს ძე ხარიკაშვილი 9 წლის ბავშვი, მე-16 შრომის სკოლის მოწაფე, მნახველს ვთხოვ მაცნობოს რკინის გზის სამმართველოში პავლე ხარიკაშვილს.

გამომცემლობა.

— **ჟურნ. „ნიანგი“.** გამოვიდა და იყიდება იუმორისტ. ჟურნალი „ნიანგი“.

ხელოვნება

სომხური დრამა

რუსთაველის თეატრი.

„ქრისტინე“ ნინოშვილისა. ოთხშაბათი, 30 მაისი.

სომხური აკადემიური დრამის სეზონი დაიხურა ქართული პიესის—ნინოშვილის „ქრისტინე“-ს წარმოდგენით, რომელიც სომხურ ენაზე გადათარგმნა გ. პირუმიანმა. ჩვენ სიხარულთან ერთად, მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ „ქრისტინეს“ წარმოდგენით დაიხურა სეზონი და ის ფართე საზოგადოებამ ვერ ნახა სეზონის განმავლობაში.

შემდეგში მაინც საჭიროა, რათა

მუშათა ცხოვრება

განთიადზე.

ნეტა რად არხევს სიო ხის ფოთლებს,
ღამის მარაგში ამონაქროლი;
დინამო ცივ წყალს რისხვით აორთქლებს,
კრთო ლენტივით სად მიაქვს ბოლი?!

ნუ თუ სურს იქცეს მძლავრ ქარიშხალად,
ცაზე შავ ღრუბლებს მსწრაფლ მიესიოს
და ნარ-ეკლიან გზის გასაკვალად
ცეცხლის ამბებით მისწვდეს მსოფლიოს?!

მაშ, სიოვ, შესძარ მთები, ტყეები,
აქარიშხალდი, გალონიერდი,
ვინც გადაგიდგეს—მძლავრად შეები
და შეუნგრიე ბოროტი მკერდი!..

დეე, დაიქცეს ძველი სამყარო,
ოღონდ ახალი მკვიდრად აშენდეს,
ამოჩუხჩუხდეს მშრომელთა წყარო
და შვების დილა მალე გათენდეს!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

დაუღალავი მუშა-მსახიობი ამხ. სალაყაია.

(მისი 27 წლის მოღვაწეობის გამო).

სახალხო სახლის ქართულ დრამატიულ დასში მუშაობს მუშა მსახიობი **რომანოზ სალაყაია**, რომელიც უკვე 27 წელიწადია, რაც ემსახურება უწყვეტლივ სახალხო სცენას. თბილისის პროლეტარიატი კარგად იცნობს ამხ. რ. სალაყაიას მისი განაპირა უბნებში მუშაობით, მეტადრე ავლაბრის რაიონში და ავჭალის აუდიტორიაში. ვის არ უნახავს რომ. სალაყაია სახალხო სცენაზე მუშათა როლებში.

განა არის ისეთი კუთხე საქართველოში, რომელიც სალაყაიას მოვლილი არ ჰქონდეს?! ამხ. სალაყაია სოფლებში ყოველთვის აქტიური მუშა იყო პიესების დადგმაში, რათა დაეკმაყოფილებინა გლეხკაცობის სულიერი მოთხოვნილება, თვით თბილისის მუშათა რაიონებში არა ერთხელ გაუმართავს წარმოდგენები და თვითონაც უთამაშნია მასში საპასუხისმგებლო როლები.

ასეთი მუშაობა 27 წლის განმავლობაში, რასაკვირველია, მოღალავს მუშა-მსახიობს, რომელსაც მასთან ცხოვრების პირობებიც ხელს არ უწყობს.

დღეს დღეობით რომანოზ სალაყაია ისევ ახალგაზრდური აღფრთოვანებით და სიყვარულით ემსახურება სახალხო სახლის აუდიტორიას, მაგრამ დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის ის ამ ჟამად.

ხშირია ისეთი დღეები, როდესაც სალაყაიას (უკვე მოხუცია) ლუკმა პურის ძებნაც უძნელდება. შემოფლეთილი შარვლით დაიარება ის სცენაზე, ქუჩაში, სტუმრათ.

სალაყაია—მშრომელი მასის შვილია, რომელმაც თავისი სიცოცხლე სახალხო სცენას შესწირა და ბოლო ხანებში მატერიალურ სივიწროვეს განიცდის. ამიტომ საჭიროა მისი დახმარება. იმ დროს, როდესაც დიდი თეატრის მსახიობთ ენიშნებათ დახმარება სხვა და სხ. სახით, მე ვფიქრობ, რომ მუშა-მსახიობს უფრო მეტი დახმარება უნდა აღმოეჩინოს.

მუშკორი ი. ელიაშვილი.

კიდევ არიან ექსპლოატატორები.

(შრომის ინსპექციის საყურადღებოთ).

„წმინდა ნინოს ეკლესიის“ მახლობლათ, ნარინის აღმართზე არის მოქანდაკე სოლომონ მიროტაძის ქარხანა. სახელოსნოში მუშაობს ორი ზეინკალი:—კარაპეტ გალუსტოვი და დავით მურალაშვილი. პირველს უკვე ოც წელიწადზე მეტი შეუსრულდა, რაც ხსენებულ ქარხანაში მუშაობს და მეორეს კი თითქმის წელიწადი. დაწვრილებით შეკრებილი ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი ბირჟაში არ ყოფილა აღრიცხული და როგორც ასეთები არც დაზღვეულნი არიან, მათ არც საანგარიშო წიგნაკები აქვთ. მუშაობენ დილიდან საღამომდის—ორი საათის გამოკლებით ვითომც-და დასასვენებლად, სულ ათ თერთმეტ საათს. ხელფასს იღებენ 300,000-450,000 მანეთს დღეში. მათთანვე მუშაობს ორი შეგირდი: მამულაშვილი იოსებ—13 წლის და დავით ჩომახიშვილი—16 წლის.

ბირჟიდან მხოლოდ ერთია გამოგზავნილი. სამუშაო დრო არც მათთვის არის განსაზღვრული—თუ საჭირო იქნება, როგორც ხელოსნებს, ისე შეგირდებს „ხაზეინი“ ამუშავებს თორმეტ და თოთხმეტ საათსაც. ხელფასად კი შეგირდებს 90,000 მანეთს აძლევს და არავითარ ზედმეტი ნამუშევარისთვის—მეტი ხელფასის მიცემას ადგილი არ აქვს. ზედმეტია შეგირდების დაზღვევაზე ლაპარაკი.

ბ-ნი „ხაზეინი“ სარგებლობს მდგომარეობით, თავგასული ობობა-ვაჭარს წარმოუდგენია თავისი სახელოსნო როგორც მიგდებული ადგილი. ის ფიქრობს, რომ იქ ვერ მივა შრომის ინსპექტორი და ვერ გაუკეთებს სათანადო რევიზიას. ალბად ასეც არის, თორემ რატომ ერთხელ მაინც არ იქნა გასინჯული ეს ქარხანა ინსპექტორის მიერ.

ასეთი „ხაზეინი“ ექსპლოატატორები დროზე უნდა იქნან ალაგმულნი. ამაზე ვაქცევთ შრომის ინსპექციის ყურადღებას.

ბ. ენუქიძე.

მუშათა ქრონიკა.

— **ინვალიდების სახელოსნო.** ინვალიდის სახლში სოც. უზრ. სახ. კომმა მოაწყო კოლოფების დასამზადებელი სახელოსნო, სადაც უკვე 15 ხელოსანი ინვალიდი მუშაობს.

— **დახმარება ჩათახის ქარხანას.** სახ. მეურნეობის უმ. საბ. ჩათახის ქარხანას ერთ დროულად დახმარების სახით გადასცა ერთი მილიარდი მანეთი.

— **მცირე წლოვან მუშათა დაცვისათვის.** მცირე წლოვან მომუშავეთა მდგომარეობის დასაცავად და უზრუნველსაყოფად მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა განკარგულება გაუგზავნა თავის ქვეგანყოფილებებს არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მცირე წლოვანთა ექსპლოატაცია და ამ მიზნით თვალყური ადევნონ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებებს.

— **ბავშვთა სახლისთვის.** ბავშვთა სახლის საჭიროებისათვის მელითონეთა კავშირის კულტ განყოფილებამ ერთდროულად გადასდო 150 მილიონი მანეთი. ამ თანხის ნაწილით ბავშვებისთვის შეძენილ იქნება ტანსაცმელი და სანოვაგე.

კიდევ შრომის ექსპლოატატორები

— შრომის ინსპექციამ რევიზიის დროს აღმოაჩინა სხვადასხვა კერძო სავაჭრო დაწესებულებებში შრომის კანონების დარღვევა და ამის გამო ოქმი შეუყვანა და პასუხისგებაში მისცა შემდეგი ვაჭრები:

— **სასადილოს პატრონი პატარკაციშვილი ნიკოლოზი** (19 თებერ. ქ. № 74), რომელიც მოზარდ სხირტლაძეს 6 საათის ნაცვლად 14 საათს ამუშავებდა ყოველდღიურად; ბავშვი არ იყო დაზღვეული და არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონებია.

— **ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონი ლამბარიანცი არუტიუნი** (მუხრანის ქ. № 15) იმის გამო, რომ მოზარდს აბნაზაროვს დაწესებულ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს აძლევდა; ყმაწვილი არ ჰყოლია დაზღვეული და მისთვის არც საანგარიშო წიგნაკი მიუცია.

— **ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონი** (ლერმონტოვის ქ. № 4) **აკოპოვი ალახი**, რომელიც არ იცავდა მოზარდ ასტვაცატუროვის მიმართ 6 საათის სამუშაო დროს და ამუშავებდა მას ყოველ დღიურად 11—12 საათამდე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

(სოციალური დაზღვევა).

კითხვა: შეიძლება თუ არა დაკანონებულ ნორმების შემცირება დაზღვეულთათვის.

პასუხი: დამზღვევ კონფერენციას უფლება აქვს არსებულ დახმარების ნორმა ნამდვილი ხელფასის უსახსრობის გამო შეამციროს ერთი მესამედით.

კითხვა: აქვს თუ არა კასის კომიტეტს უფლება დაზღვეულს კუთვნილი დახმარების ნორმა სხვადასხვა მიზეზების გამო შეუკვეცოს?

პასუხი: იმ შემთხვევაში თუ დაზღვეული უარს იტყვის საავადმყოფოში მოთავსებაზე, თუ დაარღვევს ექიმის რჩევა-დარიგებას, ან სიმულიაციაში იქნება შემჩნეული, კასის კომიტეტს უფლება აქვს დახმარების ნორმა დაზღვეულს შეუკვეცოს ან სულ არ მისცეს და საერთო წესების დარღვევისათვის პასუხისგებაშიაც მისცეს.

კითხვა: რა ხნის განმავლობაში შეუძლია დაზღვეულს თავისი მოთხოვნილება წარუდგინოს დამზღვევ კასას ან თავისი უკმაყოფილება კასისადმი განასაჩივროს?

პასუხი: არა უგვიანეს ერთი კვირისა.

დამზღვევი კასა.

სომხურ სცენაზე ხშირათ იდგმებოდეს ქართული ორიგინალური პიესები, რაც ხელს შეუწყობს ორი მოძმე ერის დაახლოვებას და ქართველი ხალხის ცხოვრების გაცნობას სომხეთა შორის. ასეთი ნაბიჯი ადრე იქნა გადადგმული ქართული სცენის მიერ, სადაც იდგმებოდა და ეხლაც ხშირათ იდგმება სუნდუკიანცის და სხ. სომეხ დრამატურგების პიესები.

ნინოშვილის პიესა „ქრისტინე“ სომხური დასის მიერ წარმოდგენილი იქნა ზედმიწევნით ლამაზათ და შესრულებამ მოლოდინს გადააჭარბა. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდა ქართული დრამის მსახიობი **ნიკო გოცირიძე**, რომელმაც ცოცხლად და შესანიშნავათ ჩაატარა მეღუქნის როლი. მსახიობს აგრეთვე ეტყობოდა სომხური ენის ცოდნა. უმთავრეს როლში („ქრისტინე“) გამოვიდა მსახიობი ქალი **გულაზიანი**, რომელიც ამ საღამოს განსაკუთრებული ენერგიით და ტემპერამენტით ასრულებდა ნაკისრ როლს. მსახიობი სავსებით განიცდიდა როლს, რომელშიც დიდი მსახიობის შესაძლებლობით დახატა „ქრისტინეს“ ტრაგიკული ცხოვრება და ბედი. შესანიშნავი იყო აგრეთვე მსახიობი ქალი **მარა**. დანარჩენი მსახიობები—ყველა თავიანთ სიმაღლეზე იდგნენ. საერთოდ აღნიშნული წარმოდგენა ჩატარდა აღსანიშნავად და უნაკლოდ.

ასეთი მთლიანი წარმოდგენა მთელ სეზონში შეიძლება ითქვას, ერთადერთი იყო. კარგი იქნება სომხური დრამის მესაჭენი მომავალ სეზონში სომხურ რეპერტუარს შეავსებდნენ ქართული პიესებით და მეტ ენერგიას გამოიჩენდენ ამ მხრივ.

X.

— **ქართველ უდიეთა სასარგებლოდ.** ხვალ, 3 ივნისს, სახელმწიფო ოპერაში ქართველ უდიეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება: „გრაფ ლიუქსენბურგი“.

— **მსახიობ დავით ჩხეიძის ბენეფისი.** კვირას, 3 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ დავით ჩხეიძის ბენეფისი კ. მარჯანაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“.

— **პავლე ინგოროყვას „რუსთაველიანას“ გამოცემა.** სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა პავლე ინგოროყვას ისტორიულ ნაშრომის „რუსთაველიანას“ გამოცემას, რომელიც შეიცავს 3 ტომს.

— **მოსკოვის სამხატვრო მცირე სტუდია.** მოსკოვის სამხ. თეატრის მცირე სტუდიის წარმოდგენები დაიწყება 5 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში. წარმოდგენილი იქნება „ყვავილების არშია“.

— **სახლი ხელოვანთ.** რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, ნინო ყიფიანის სახლი მდებარე სოფ. ქვიშხეთში გადაეცა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს. ხელოვანთა მთავარ კომიტეტმა ხსენებული სახლი უკვე ჩაიბარა.

— **აკაკი ფალავას ბენეფისი.** სახელმწიფო აკადემიური დრამის რეჟისორის აკაკი ფალავას საღამო-ბენეფისი, რომელიც 27 მაისს არ შესდგა, მსახიობ ნ. დავითაშვილის უეცარი ავადმყოფობის გამო, შესდგება ხუთშაბათს, ივნისის 7-ს. წარმოდგენილი იქნება: 1) შექსპირის „ჰამლეტ“ 1 მოქ (V სურათი). ჰამლეტის როლს შეასრულებს—გ. დავითაშვილი, 2) დ. კლდიაშვილის პიესებიდან: ა) „ირინეს ბედნიერება“—პირველი მოქმედება. (აბესალომ—აკ. ვასაძე, ფილიპე—პლ. კორიშელი, ირინე—ვ. შოთაძე) და „უბედურება“, რომელშიც სალიანგო (სახალხო) სცენებს შეასრულებენ თვით მსახიობნი, 3) „ციმბირელი“—ა. ცაგარლისა მესამე მოქმედება—ტასო აბაშიძის, ნიკო გოცირიძის და ი. გრიშაშვილის მონაწილეობით. გრიშაშვილი შეასრულებს კავკაველ პეტრუას როლს და წაიკითხავს ლექსებს.

პროვინციაში

ჩოხატაური.

1912 წელში ექიმი მელიტონ არეშიძის მეთაურობით ჩოხატაურში შეუდგნენ საავადმყოფოს შენობის აგებას. შენობას საძირკველი ჩაეყარა 1912—13 წ., დაწყებულ იქნა ძალიან დიდი ქვის შენობა, მაგრამ იმპერიალისტურ ომის გამო ეს მუშაობა შეჩერებულ იქნა. შემდეგ ეს საქმე უყურადღებოდ იქნა მიტოვებული, გასული 1922 წლის მიწურულში ამ შენობის აგებას შეუდგა ამხ. თეოფილე ჩიჩუა, მან აუხსნა ხალხს მიტინგზე საავადმყოფოს მნიშვნელობა. აირჩიეს საამშენებლო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა ამხ. თ. ჩიჩუა. იგი ამ საქმეს გულმოდგინეთ შეუდგა. ჩოხატაურის ვაჭრებზე, მათ მიერ მიღებულ დადგენილების თანახმად, გაწერილ იქნა ერთი მილიარდი მანეთი, რომლის ნაწილი უკვე აღებულია; ერთი მილიარდიც გაიწერა თვით ჩოხატაურის თემის მცხოვრებლებზე, ეს ფულიც კიდევაც აღებულია. გარიგება მოხდა მუშებზე და უკვე მოტეხილია ორასი კუბიკური საჟენი ქვა. მალე დამზადებული იქნება 150,000 აგური, 2000 ფუთი კირი, სილა და ხე-ტყის მასალა. საჭიროა ამ მუშაობას ენერგიულათ მოკიდოს ხელი არა მარტო ჩოხატაურის თემის, არამედ მეზობელ თემების მცხოვრებლებმა, რომლებისთვისაც აუცილებლობას შეადგენს ეს საავადმყოფო. ამ საგანზე ამხ. თ. ჩიჩუას მეთაურობით ბევრი სხვადასხვა დაწესებულებებში იქნა აღძრული შუამდგომლობა დახმარების აღმოსაჩენათ, ჯერ-ჯერობით მიღებულია დახმარება შემდეგი ორგანოებისაგან.

სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან 300 ფუთი სიმინდი, დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტისაგან—500 მილიონი მან. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატისაგან ერთი მილიარდი მანეთი, და ჩოხ. კოოპერატივთა კავშირისაგან—88 მილიონი მან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებს საამშენებლო კომიტეტი მთელი ხალხის სახელით უღრმეს მადლობას უცხადებს ასეთი გულუხვი დახმარებისათვის.

ვიმეორებთ, რომ ამ საქმის სისრულეში მოყვანას უნდა შეუდგნენ მთელი ჩოხატ. რაიონის 14 თემის მცხოვრებლები. მასთან დაიმედებულნი ვართ, რომ სხვა დაწესებულებები და კერძო პირებიც აღმოგვიჩენენ დახმარებას და მით ხელს შეგვიწყობენ ამ ფრიად საჭირო და სახალხო საქმის დასრულებაში.

ხეფე ცინცაძე.

(სოფ. ტაბახმელა (თბილისის მაზრა).

სოფ. ტაბახმელა მდებარეობს თბილისიდან 10 ვერსის მანძილზე. ტაბახმელაში არის სულ 115 კომლამდე. არის ერთი პირველ-საფეხურიანი სკოლა, რომელშიაც სწავლობს 36 ბავშვამდე. მიწის რეფორმის გატარება ჯერ არ დასრულებულა. მოხდენილი არის მიწის ფონდის აღრიცხვა. ტაბახმელაში გამართულია საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელი სადგური. სულ სადგურში მუშაობს 33 კაცი. ტაბახმელის მცხოვრებლები ფრიად ღარიბათ ცხოვრობენ. პური მცირე მოსდით და მთავარ საცხოვრებელ სახსარს შეადგენს რძის ნაწარმოებით ვაჭრობა. ადგილობრივი მცხოვრებლები ნაწველს ჰყიდიან თბილისში. ეს ის ხალხია, რომელსაც თბილისის ბაზარზე მაწონი და რძე ჩამოაქვს დილ-დილობით.

მ. ხუხუნაიშვილი.

საჩინო (ქუთაისის მაზრა).

აქაურ გლეხობას ამ ერთი წლის წინათ თავს დაატყდათ ერთი მეტათ არა სასიამოვნო ამბავი.

აქაურ ხალხს მუდამ დიდი სურვილი ქონდა სწავლისა.

ძველათ სწავლის შესაძენად შვილებს გზავნიდნენ ქალაქებში, რაც ძნელ საქმეს წარმოადგენდა და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ცოტათ თუ ბევრათ შეძლე მოსახლეობისათვის. დიდი შრომის და ხარჯების გაწევის შემდეგ აქაური ხალხი ეღირსა საშუალო სასწავლებლის გახსნას. ამ შვიდი-რვა წლის წინათ ს. ვანში გახსნილ იქნა გიმნაზია, რომელსაც დაეწაფა ადგილობრივი მოსწავლე ახალგაზრდობა. მათი რიცხვი ბოლო დროს 200—300 აღემატებოდა ყოველწლიურათ.

გასული სამოსწავლო წლის დასაწყისში ტეხნიკუმი დაიხურა. მიზეზი?—სამოსწავლო პერსონალის უსკოლობა.

თურმე ტეხნიკუმის გამგეობამ ვერ შესძლო ეპატრონებია მისდამი ჩაბარებული სასწავლებლისადმი, მან ვერ შექმნა პირობები, რომელიც უზრუნველყოფდა სწავლის ნორმალური წესით წარმოებას.

ამნაირად 70—80 პროც. ვანის ტეხნიკუმის მოწაფეებისა დარჩნენ სკოლის გარედ. მათ არავითარი საშუალება არ აქვთ სწავლის გაგრძელებისა.

ამ საქმეს შველი უნდა. უნდა მიღებულ იქნას ზომები. ვანში სასწავლებლის გასახსნელათ.

იმედია, განათლების კომისარიატი საქმეს საფუძვლიანად გამოიკვლევს და საჭირო ნაბიჯებს გადადგამს.

პ. შ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 58.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 17.

სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს მიერ სოციალურ დაზღვევაში მონაწილეობისაგან განრიდებისათვის და სადასაზღვეო წვლილის შეუტანლობისათვის გადასახდელის დაწესების შესახებ 1922 წლის დეკემბრის 30-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის გასაუქმებლად, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უკეთუ საწარმო, დაწესებულება და მეურნეობა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და აგრეთვე კერძო პირი, რომელიც სარგებლობს დაქირავებულ შრომას, არ გადაიხდის დადგენილ ვადაზე თავის ხვედრ წვლილს სოციალური დაზღვევისათვის,—გადასახდელად მიწერილი თანხა ამა დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლში აღნიშნული ზედნართით გადაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებულ უნდა იქნეს იძულებით, უდავო წესით და იმ ღონისძიებათა ხმარებით, რაც აღნიშნულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადასახადთა აკრეფის შესახებ დამტკიცებული დებულების მე-8, 11 და 14 მუხლში.

2. ნარჩენის გადახდევინება სწარმოებს სათანადო სადასაზღვეო ორგანოს განკარგულებით, რომელიც ახდევინებს სადასაზღვეო გადასახადს.

შენიშვნა. საკრედიტო დაწესებულებაში ქონებულ მენარჩენის ანაბარაზე და იმ თანხაზე, რაც გადამხდელს ერგება მესამე პირისაგან გადასახდელი შეიძლება მიქცეულ იქნეს მხოლოდ სათანადო სასამართლოს დადგენილებით.

3. წესი პირველი და მეორე მუხლით გათვალისწინებული იძულებითი გადახდევინების შეფარდებისა, განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამიერკავკასიის ფედერაციის თვითეულ რესპუბლიკაში და ამტკიცებს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

4 უკეთუ სოციალური დაზღვევის გადასახადი არ იქნა გადახდილი იმ ვადაზე, რომელიც სათანადო რესპუბლიკაში დადგენილია სოციალური დაზღვევის ორგანოს მიერ, გადასახადს მიერიცხება ჩერვინეცის ოფიციალური კურსის განხვავება, გადასახადის შეტანისათვის დადგენილი ვადის უკანასკნელი დღისა და ვადის გასვლის შემდეგ ფაქტიურად გადახდის დღის შორის.

5 უკეთუ გადასახადი ზედდართული საკურსო განსხვავებით არ იქნა გადახდილი დადგენილ ვადაზე (მუხ. 4), მას მიერიცხება საურავი: ვადის გადაცილების პირველი თვისათვის 10 პროც. გადასახდელი თანხის საკურსო განსხვავების ჩათვლით ამ თანხაზე და თვითეული მიმდევნი თვისათვის—15 პროც. ამ თანხისა; ამასთანავე არა სრული თვე ჩაითვლება სრულ თვედ.

6. პასუხისმგებელი ხელმძღვანელი სახელმწიფო საწარმოსი, დაწესებულებისა და მეურნეობისა, მფლობელი კერძო საწარმოსი, დაწესებულებისა და მეურნეობისა, აგრეთვე კერძო პირი, რომელიც სარგებლობს დაქირავებულ შრომას, სოციალური დაზღვევის მათზე მირიცხული თანხის გადაუხდელობისათვის სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, აგრეთვე სოციალური დაზღვევის ორგანოებში რეგისტრაციისაგან განხორციელებისათვის და ამ ორგანოებ სადმი, მათ მიერ მოთხოვნილ ცნობების წარუდგენლობისათვის ან წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდებისათვის, მიიცემიან პირადათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ამიერკავკასიის ფედერაციის თვითეული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

7. აღძვრა სისხლის სამართლის წესით დევნისა და იმ საქმეების გამო, რაც ჩამოთვლილია ამა დადგენილების მე-6 მუხლში, მოხდება სოციალური დაზღვევის სათანადო ორგანოს მიერ, ან მათგან საამისოდ რწმუნებამოსილი პირების მიერ და აგრეთვე შრომის ინსპექტორების მიერ.

8. ქონებრივი გადასახდელი სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სოციალური დაზღვევის წესების დარღვევის საქმეთა გამო, რაც სათანადო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია შრომის კანონების დარღვევისათვის, მიიქცევა ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლებზე, რომელნიც დამნაშავენი არიან ხსენებულ დარღვევაში და არ შეიძლება გადატანილ იქნეს სათანადო დაწესებულებაზე ან საწარმოზე.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. პოლის.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი გ. სარუხანოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **2 ივნისს, საღამოს 6 საათზე** პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში დანიშნულია **საერთო-საქალაქო სადელეგატო კრება**, ქალთა განყოფილების ორგანიზატორებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა. 2) ამხ. სამოილოვას სიკვდილის წლის თავი. 3) სადელეგატო კრებების შესახებ. 4) „დედის და ბავშვის“ კვირეულის გატარების შესახებ.

სასურველია დელეგატ ქალებს და ქალთა განყოფილების ორგანიზატორებს გარდა დაესწრონ ის ამხანაგები, რომელთაც სურთ პატივი სცენ ამხ. სამოილოვას ხსოვნას.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის მოადგილე
ხ. თალაკვაძე

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს, რომ 4 ივნისს, კავშირის ერთიან დღეს, განხილულ იქნება საკითხი რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობისა, და აგრეთვე დამუშავდეს ცირკულიარი № 80, რომლითაც მყარდება ტფილისის ორგანიზაციის უჯრედების შეფობა შინამრეწველობის წარმოებებზე.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ტფილისის კომიტეტის მდივანი:
ლომიძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ორშაბათს 4 ივნისს, დღის 1 საათზე იწვევს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის თათბირს.

დღის წესრიგი:

1. საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების ანგარიში, 2. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ანგარიში, 3. მიმდინარე საქმეები.

მოწვეული არიან: საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქალთა განყოფილების და თბილისის პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს წარმომადგენლები და რაიკომების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეები.

მარქსისტული წრეების მეცადინეობის ცხრილი 27 მაისიდან 3 ივლისამდე)

— შაბათს, 2 ივნისს, დღის 8-დან 10 საათამდე. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიასთან არსებული წრე, ხელმძღ. ამხ. ლიბახი.

განცხადებები

გულდათუთქული მშობლები: სოფიო და გიორგი, ბიძა დავითი და ძალო ეფემია შვილებით, ძმა ლავრენტი და რძალი ქსენია თოთაძეები, მამიდა პელაგია გოგიძისა თავისი შვილებით. აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველნი შვილის, მეორენი და მეოთხენი ძმისწულის და მესამენი საყვარელი დის,

საშა | ალექსანდრა | გიორგის ასული
თოთაძის სვანიძე

უდროვოთ დაკარგვას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 ს. გამოსვენება საკუთარ ბინიდგან პარკოვის ქ. № 5 (რკ გზ. სადგურის გადასწვრივ). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე კვირას, 3 ივნისს, დილის 10 საათზე.

ქალ. თბილისის მე-13, 12, 11, 10, 9 და 8 სახალხო სასამართლოს მოსამართლენი და თანამშრომლენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ქალ. თბილისის მე-13 უბნის სახ. სასამართლოს თანამშრომელ

„საშა“
ალექსანდრა გიორგის ასულ
სვანიძისას
დაბადებით **თოთაძე**

გარდაცვალებას 1 ივნისს, პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, პარკოვის ქუჩ. № 5, გამოსვენება სახლიდგან კვირას 3 ივნისს დილის 10 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

სასურსათო კომისარიატის
თევზეულობის
მაღაზია
პუშკინის ქუჩა, № 4.

იყიდება უმაღლესი ხარისხის ხიზილალა გირვანქა 600 ათასი მანეთი. თითო მყიდველს მიეცემა მხოლოდ ორი გირვანქა.

აგრეთვე იშოვება: ზურგიელი, დოში, ჯერიმი ორაგულისა და ლოქოსი.
433

ს. ს. მ. ს. პოლიგრაფიულ განყოფილებას
ა. წ. 4 ივნისიდან
გადააქვს
თავისი სამმართველო კრუზენშტერნის ქ. № 4-დან რუსთაველის პროსპექტზე № 27, ყოფილი „ევროპიული ნომრები“.
5—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2843, გაცემული მილიციის სამმართველოდან და საანგარიშო ბარათი № 165, გაიოზ ზაქარიას ძე ყიფშიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
747—1—1

გამოვიდა
საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური **საპოლიტიკო, სამეცნ.** და **სალიტერატურო** ჟურნალი
№ 5 (12) **„მომავალი“** № 5 (12)

დ. გვაზავას, კ. გორდელაძის და გ. დევდარიანის რედაქტორობით.

შინაარსი:

1. მე-12 ყრილობა და ჩვენი ამოცანები—**დავ—გონი**..
2. ჩემი რევოლიუციონური წარსული—**კ. ცინცაძე**.
3. საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული—**ს. თალაკვაძე**.
4. ფილოსოფიური მიმართულებანი რუსულ მარქსიზმში—**შ. დუდუჩავა**.
5. რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება—**კოსული**.
6. ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის გახრწნა საქართველოში და ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის როლი—**გ. ადამიანი**.
7. გადაუჭრელ წინააღმდეგობათა კვანძი—**კ. გორდელაძე**.
8. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი—**გ. ბ—შვილი**.

ლიტერატურულ განყოფილებაში მოთავსებულია ახალგაზრდა პროლეტარულ პოეტის **ა. მაშაშვილის** პოემა **„აჯანყება“**, მისივე ლექსი **„საზღვართან“**, ხალხური პოეზიიდან **„ამირანი“**—**ვასილ ბარნოვის** და კრიტიკული ლიტერატურული წერილები **პეტრე მირიანაშვილის, რადიანის, ბაკურაძის, ლუარსამიძის** და სხვათა.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე საყურადღებო ცნობები მეცნიერებიდან და მსოფლიოს ეკონომიური მიმოხილვა უკანასკნელ თვეების გერმანულ ჟურნალებიდან ამოღებული. არის წერილები წითელ ფლოტზე და სპორტზე.

ჟურნალი შეიცავს 88 გვერდს. დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 250.000 მანეთი.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპ., № 20, კომკავშირის გამოცემათა ექსპედიციის განყოფილება.
(744 2—1

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან
(ყოფ. გაზტრესტი), **რუსთაველის პროსპ. № 26.** ტელეფ. № 5—43.

ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.250.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	800.000
ერთი ეგზემპლიარი	50.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივნისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება.
3—3

Центральная Контора Партийно-Советской прессы Грузии.
(бывший Газтрест), просп. Руставели № 26.
доводит до всеобщего сведения, что принимается подписка на все
Московские и Петроградские газеты и журналы
с доставкой на дом. Контора наладила вполне прочную и систематическую связь с Москвой и она ручается за своевременную и аккуратную доставку газет и журналов. Все газеты и журналы в розницу требовать ежедневно от газетчиков г. Тифлиса.
3—3

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან
არსებული სალიკვიდაციო კომისიის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ფასიან
ოქრო-ვერცხლის ნივთებისა,
ძვირფას ქვებისა
— და აგრეთვე —
სხვა და სხვა საქონლისა,
სახლის ავეჯეულობისა
ნახმარ ტანისამოსისა და საცვლებისა.

ნივთების და საქონლის გასინჯვა და გაყიდვა იწარმოებს ვაჭრობისათვის დანიშნულ დღეს კომისარიატის შენობის ეზოში (ყოფილი კადეტთა კორპუსი) ა. წ. 3 ივნისს დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე.
430 2—2

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების
მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი
ი. ფ. პალატნიკოვის
ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
(15—12) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] მკურნალობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
(601 [illegible] 15)

დაიკარგა კავშირის წიგნაკი ტელეფონის ქსელის ხელოსნის ონიაშვილის სახელობისა № 674. ჩაითვალოს გაუქმებულად.
(745—1—1)

დაიკარგა პასპორტი, გაცემული დონის ნახიჩევნის საპოლიციო სამმართველოს მიერ [illegible] გრიგოლოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
(1—1)